



მოსამართლის მიხედულების ფარგლები საოჯახო და  
მემკვიდრეობითსამართლებრივ დავაში *contra legem*  
განმარტების გამოყენებისას

ელენე ზედგინიძე

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი  
თბილისი, 0168, საქართველო

სექტემბერი 2020

საავტორო უფლება 2020 ელენე ზედგინიძე

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ელენე ზედგინიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: მოსამართლის მიხედულების ფარგლები საოჯახო და მემკვიდრეობისამართლებრივ დავებში contra legem განმარტების გამოყენებისას და ვაძლევ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი: 03.09.2020

ხელმძღვანელი: გიორგი მესხი

თანახელმძღვანელი: დიმიტრი გეგენავა

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი  
სამართლის ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თარიღი:03.09.2020

სტუდენტი:ელენეზედეგინიძე

---

## ანოტაცია

საოჯახო და მემკვიდრეობითსამართლებრივი დავები გამოირჩევა არაერთი სპეციფიკურობით. უპირველესად, საკითხებით, როგორცაა - განქორწინება, ბავშვის ინტერესი, მშობლის უფლება, მემკვიდრეობა და ა.შ, დაინტერესებულია მთელი საზოგადოება, რადგან თითოეული ადამიანი აუცილებლად არის სუბიექტი, თუნდაც მხოლოდ ერთი, რომელიმე ურთიერთობის. თავისებურებას წარმოადგენს, ასევე, როგორც დავის წარმოშობის საფუძვლები, ისე შედეგები, რადგან საქმე ეხება მეტად სენსიტიურ თემებს. სამართალწარმოება კი, გაჯერებულია მთელი რიგი ინკვიზიციური ელემენტებით, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის პრაქტიკას.

მართალია, საქართველოში მოსამართლისთვის ამოსავალი წერტილია კანონი, თუმცა, შეუძლებელია ყველა შესაძლო შემთხვევის კოდექსში გათვალისწინება, რა დროსაც ერთგვარ კანონის განმარტების აუცილებლობა. ნაშრომი ეხება კანონის განმარტების ისეთ ხერხს, რომლის შესახებ დღემდე არაერთგვაროვანი მიდგომები და დამოკიდებულებებია. განმარტება *contra legem* უპირისპირდება ნორმის შინაარსს და მას სრულიად საპირისპირო დატვირთვას აძლევს. პრობლემურია საკითხი - სად გადის ზღვარი კანონის განმარტებასა და მის შექმნას შორის.

რადგან საოჯახო და მემკვიდრეობითსამართლებრივი დავები ისედაც გამოირჩევიან ინკვიზიციით, განხილული იქნება, ფართო მიხედულებასთან ერთად კანონსაწინააღმდეგო განმარტების გამოყენება წარმოადგენს თუარა საფრთხეს მართლმსაჯულებისთვის.

გამოიკვეთება, რამდენად გაბედულები არიან ქართველი მოსამართლეები და იყენებენ თუ არა კანონსაწინააღმდეგო განმარტებას საოჯახო დავებში, თუ იყენებენ რა შემთხვევებში და რა საფუძვლით. რა ხდება მაშინ, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება სამართალი და მორალი, სამართლიანობა და კანონიერება.

## Annotation

Family and inheritance disputes are distinguished by a number of specificities. First of all, with issues, such as – divorce, the interest of child, parental rights and so on, is interested the whole community, because definitely is a subject each person even just one of any relationship. It is also a peculiarity as the basis for the origin of the dispute, as well as the results, because it deals with highly sensitive topics. The litigation is saturated with a number of inquisition elements, which makes the practice even more interesting.

It is true that the law is the starting point for a judge in Georgia. However, it is impossible to include all possible cases in the code, this time an interpretation of the law is necessary. The paper deals with the definition of law in such a way about which there are still heterogeneous approaches and attitudes. Definition Contra Legem opposes the content of the norm and gives it a completely opposite meaning. It is a problematic issue – where does the line between the definition of law and its creation.

Because family and inheritance disputes are already distinguished by the inquisition, will be discussed, both, wide view and unlawful definition, whether there is a threat to justice.

It will be revealed how brave the Georgian judges are and whether they use an illegal definition in family disputes, if used, in what case and on what grounds. What happens then when law-opposes other law and morality, justice and legality.

# სარჩევი

I. შესავალი.....	1
II. Contra legem განმარტებადამისიგამოყენება .....	5
1. Contra legem განმარტების თავისებურებები .....	8
2. Contra legem განმარტებად სამართალშემოქმედების საფრთხე.....	10
3. Contra legem განმარტებაშეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის ურთიერთმიმართების კონტექსტში .....	13
III. სასამართლოს როლი დამიხედულების მნიშვნელობასა და საოჯახო დამემკვიდრეობით სამართლებრივ დავაში .....	16
1. საოჯახო დამემკვიდრეობით სამართლებრივი დავის სპეციფიკა დამოსამართლის მიხედულების ფარგლების გამოქალაქოს სამართალწარმოების ზოგადჭრილში .....	19
2. სასამართლოს როლი დამოსამართლის პიროვნულობის მნიშვნელობასა და საოჯახო დამემკვიდრეობით სამართლებრივ დავაში .....	23
IV. სასამართლოს მიერ Contra legem გამოყენების პრაქტიკასა და საოჯახო დამემკვიდრეობით სამართლებრივ დავაში .....	26
1. მომეტებული საჯარო ინტერესი .....	33
2. დეფაქტო ინკვიზიციურობა .....	31
3. მოსამართლის თვითინიციატივა .....	42
4. ანალიზი .....	47
V. დასკვნა .....	48
ბიბლიოგრაფია .....	52

„არათუ ყუელა წიგნით მოგუცა მოსემ გზა სიმართლისა,  
ზოგი ნახვით მოსამართლეთა ზედაც მიაგდო“...

მხითარ გოშის სამართლის წიგნი, მე-12 საუკუნე!

## I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „მოსამართლე ...ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს“<sup>2</sup>. საქართველოს სამართლებრივ რეალობაში, განსხვავებით ანგლო-ამერიკული სისტემის ქვეყნებისგან, მოსამართლის სახელმძღვანელო - კონსტიტუცია და ნორმატიული აქტებია. თუმცა ტექნოლოგიური პროგრესის საუკუნეში თითქმის შეუძლებელია ნებისმიერი სახის სამართალურთიერთობის თუ კაზუსის გადაჭრის გზები სრულად იყოს გაწერილი კანონში.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მოსამართლე ნებისმიერ შემთხვევაში არის ვალდებული, გადაწყვიტოს საქმე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური თუ პროცესუალური ნორმები<sup>3</sup>. ისმის შეკითხვა, რის საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლემ, თუ არ არსებობს ნორმა, ან, არსებობს, მაგრამ მისი სიტყვასიტყვითი განმარტების მეშვეობით გადაწყვეტილება იქნება სრულიად უსამართლო?

სამართლის ფილოსოფიის თეორეტიკოსებს შორის დღემდე არ არსებობს ერთი აზრიამ საკითხზე. კელზენის მიხედვით, სამართალი უნდა გავწმინდოთ მორალის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური

<sup>1</sup>გოგიაშვილიგ., როგორავითარებენმოსამართლეებისამართალს,ჭურნ.  
„ქართულისამართლისმიმოხილვა“, ტომი -8, #1-2, 2005, 1.

<sup>2</sup>საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>3</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლი.

ჭუჭყისგან<sup>4</sup>. მისგან განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ ბუნებითი სამართლის მიმდევრებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ კანონის სოციალური, მორალური და კულტურული საფუძვლები და თეორიები, რომლებიც მათ განმარტავს, არ არის ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე კანონის ე.წ. „შავი შრიფტი“<sup>5</sup>. რონალდ დვორკინი აყალიბებს განსხვავებულ მიდგომებს და აცხადებს, რომ სამართალი „სიცარიელების გარეშე“ არსებული სისტემა<sup>6</sup> და მოსამართლე კი არ ქმნის სამართალს, არამედ განმარტავს იმას, რაც უკვე სამართლებრივი მასალების ნაწილს წარმოადგენს<sup>7</sup>.

დღეს, როდესაც თითქმის მოშლილია ძირითადი განსხვავება კონტინენტურ და ანგლოამერიკულ სისტემებს შორის, აშკარა ხდება, რომ მოსამართლეები ხშირად მიმართავენ კანონის ფართო განმარტების ხერხებს და ზოგჯერ კანონს, შეიძლება ითქვას, საპირისპირო ინტერპრეტაციასაც კი აძლევენ. განმარტების ხერხს, რომელიც მოსამართლეებს ფართო დისკრეციის საშუალებას აძლევს, ეწოდება - *contra legem*, ანუ კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ<sup>8</sup>. არის შემთხვევები, როდესაც მოსამართლე არა მხოლოდ უფლებამოსილი, ვალდებულიც კია, სამართლიანობის სახელით მიიღოს გადაწყვეტილება *contra legem*. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა იმოქმედოს არა საკუთარი, სუბიექტური შეხედულების საფუძველზე, არამედ მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში და იმ ღირებულებების მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს სამართლის სისტემას<sup>9</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება საოჯახო დამემკვიდრეობითი დავები, როდესაც საქმე ეხება ისეთ სენსიტიურ თემებს, როგორცაა-ოჯახი, განქორწინება, ბავშვის მიკუთვნება,

---

<sup>4</sup>უექსირ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მერაბ ბაბუხადას თარმანი, იოსებ ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 45.

<sup>5</sup>იქვე, 16.

<sup>6</sup>იქვე, 58.

<sup>7</sup>უექსირი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მერაბ ბაბუხადას თარმანი, იოსებ ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 58.

<sup>8</sup>ხუბუა გ., განმარტება *contra legem*, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, #2, 2018, 1.

<sup>9</sup>იქვე, 2.



მემკვიდრეობა და ა.შ, რადგან ამ შემთხვევაში, გარდა სამართლიანობის აღდგენისა, მოსამართლეს უწევს შინაგანი ბრძოლა - მორალთან. ხშირად მოსამართლე ცდილობს, იპოვოს გამოსავალი მორალური გადაწყვეტილების მისაღებად.

საოჯახო და მემკვიდრეობითსამართლებრივი კანონმდებლობის თუ სასამართლოთა გადაწყვეტილებების რაობით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება, რადგან თითოეული მოქალაქე არის ამ ურთიერთობათა შემადგენელი ნაწილი. საოჯახო დავებში ერთმანეთს უპირისპირდება საჯარო და კერძო ინტერესები. სასამართლო გვერდს უვლის სამოქალაქო პროცესისთვის დამახასიათებელ შეჯიბრებითობის პრინციპს და ხდება ინკვიზიციური, ხშირად ძალაუფლების სრული გამოყენებით. საინტერესოა, ისედაც ინკვიზიციური სამოქალაქო სასამართლოს პირობებში არის თუ არა საფრთხის შემცველი ინტერპრეტაცია-*contra legem*.

ნაშრომის მიზანია საოჯახო დამემკვიდრეობითსამართლებრივ დავებში *contra legem* განმარტების გამოყენების შესაძლებლობებისა და ფარგლების დადგენა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე. რა დროს მიმართავენ მოსამართლეები აღნიშნულ განმარტებას, რა საფრთხეებთანაა დაკავშირებული და რა შედეგით შეიძლება დასრულდეს. ასევე ამ მიმართულებით პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და პრობლემურ საკითხებზე შესაფერისი წინადადებების შემუშავება.

ნაშრომში გამოყენებულია დესკრიფციული, ანალიტიკური, შედარებითსამართლებრივი და დედუქციური მეთოდები. კვლევის ფარგლებში მოხდება *contra legem* განმარტებასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების შესწავლა, ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების განხილვა. გამოიკვეთება მოსამართლეთა მიდგომები და არსებული ხარვეზები საოჯახო და მემკვიდრეობითსამართლებრივ გადაწყვეტილებებში.

ნაშრომი შედგება 5 ნაწილისგან, რომელთაგან პირველი და მეხუთე, შესაბამისად, შესავალი და დასკვნაა. მეორე ნაწილში განხილული იქნება *contra legem* განმარტება და მისი გამოყენების თავისებურებები, რამდენად

წარმოადგენს მისი გამოყენება სამართალშემოქმედებას, რა მიდგომებია უცხოურ ლიტერატურაში, ასევე მისი მიმართება შეჯიბრებითობისა და ინკვიზიურობის კონტექსტში. მესამე ნაწილში ყურადღება გამახვილდება მოსამართლის როლზე, დავის სპეციფიკაზე და მიხედულების ფარგლების მნიშვნელობაზე საოჯახო და მემკვიდრეობითსამართლებრივ დავებში. მეოთხე ნაწილი მთლიანად დაეთმობა სასამართლო პრაქტიკას და განხილული იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

## II. Contra legem განმარტებადამისიგამოყენება

კანონის განმარტება ნიშნავს კანონის სიტყვათა მნიშვნელობის გაგებას<sup>10</sup>, სამართლის ნორმის განმარტებისას შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენება<sup>11</sup>, მათ შორის, დღეისთვის ყველაზე აქტუალური და საინტერესოა - secundum legem, praeter legem და contra legem: პირველი მათგანი გულისხმობს ნორმის დაკონკრეტებას, ხოლო მეორე - საკანონმდებლო ხარვეზის შევსებას.<sup>12</sup> რაც შეეხება განმარტებას contra legem, ის არის ლათინური ფრაზა და ნიშნავს „კანონის წინააღმდეგ“<sup>13</sup>. ამ მნიშვნელობით გამოიყენება ფრაზა contra legem სხვადასხვა კონტექსტში.<sup>14</sup> ზოგიერთი სპეციალისტი მას ასევე განმარტავს, როგორც „კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ“<sup>15</sup>. თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მის ზუსტ დეფინიციას, არამედ იმას, თუ რას მოიაზრებს იგი საკუთარ თავში და რა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს სამართლის სხვადასხვა სისტემასა თუ იურიდიულ რეალობაში. ტერმინის გამოყენებისას მოსამართლეს ყოველთვის საქმე აქვს საკითხთან - რა ზომით შეიძლება აუაროს გვერდი ეროვნული კანონმდებლობის პირდაპირ მოთხოვნებს და სად გადის ზღვარი კანონის შესაბამის განმარტებასა და მისი მნიშვნელობის სრულ ცვლილებას შორის<sup>16</sup>.

არის შემთხვევები, როდესაც მოსამართლე ვალდებულია, პირველი ადგილი დაუთმოს სამართლიანობის საკითხს, მეორე კი სამართალსა და კანონს<sup>17</sup>. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება იძლევა სრულიად უსამართლო შედეგს. შესაბამისად, შესაძლებელი და აუცილებელიც კი ხდება, ნორმა განმარტოს contra legem.

---

<sup>10</sup><https://bit.ly/3lx7MR1> > [06.08.2020]

<sup>11</sup>იქვე.

<sup>12</sup> Krey V., Zur Problematik richterlicher Rechtsfortbildung contra legem, in: JuristenZeitung Nr. 11\12, 1978, 361.

<sup>13</sup><https://bit.ly/2YK1Fz1> > [13.06.2020]

<sup>14</sup>Fellmeth A., Horwitz M., Guide to Latin in International Law, Oxford University Press, 2009, 23.

<sup>15</sup>ხუბუაგ., სამართლისთეორია, თბილისი, 2015, 161.

<sup>16</sup><https://bit.ly/34OVQny> > [15.06.2020]

<sup>17</sup><https://bit.ly/31G67ke> > [13.06.2020]

საქართველოში, რადგან მოსამართლე ვალდებულია, დაემორჩილოს კანონის მოთხოვნებს და არა მხოლოდ კანონმდებლობა, არამედ სამოსამართლო სამართლის მოკლე ისტორიაც არ აძლევს მოსამართლეს ფართო მიხედვლების გამოყენების შესაძლებლობას, შეიძლება ითქვას, რომ კანონსაწინააღმდეგო განმარტების გამოყენება საკმაოდ იშვიათად ხდება. თუმცა, ბოლო წლების სასამართლო პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად, შეიმჩნევა აშკარა წინსვლა ამ კუთხით, მოსამართლეებმა ირწმუნეს საკუთარი ძალები და დაიწყეს გაბედული ნაბიჯების გადადგმა კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, სამართლიანობის სახელით.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ე.წ. რთული შემთხვევების<sup>18</sup> განხილვისას მიმართავს „თანმიმდევრული განმარტების“ მეთოდს. თანმიმდევრული განმარტების მოვალეობა გულისხმობს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უპირველესად უნდა შეამოწმონ, შესაძლებელია თუ არა მათი შიდა კანონმდებლობის ინტერპრეტაცია განხორციელდეს ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში<sup>19</sup>. *Contra legem* არის თანმიმდევრული განმარტების უკიდურესი ზღვარი<sup>20</sup> და შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მისი გამოყენების პირდაპირი აკრძალვა.<sup>21</sup> მას აღწერენ, როგორც - განმარტებას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მკაფიო, აშკარა ტერმინებსა და მოთხოვნებს<sup>22</sup>.

ამერიკელი მოსამართლეები ამ კუთხით მეტი თავისუფლებით გამოირჩევიან, რადგან ისინი თავად არიან სამართალშემოქმედები. თუმცა, არსებული პრაქტიკის შეცვლა უკვე მათთვისაც რთულ საქმეს წარმოადგენს, რადგან სჭირდებათ სოლიდური, მყარი არგუმენტები. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც თავად მოსამართლეებიც ერიდებიან *contra legem* განმარტების

---

<sup>18</sup>უექსირ., სამართლისფილოსოფია, ძალიანმოკლემესავალი, მერაბბაბუხადასთარმანი, იოსებბაჩიაშვილისრედაქტორობით, თბილისი, 2012, 58.

<sup>19</sup> Haket S., Coherence in the Application of the Duty of Consistent Interpretation in EU Law , in: Review of Administrative Law, Paris Legal Publishers, 2015, 115.

<sup>20</sup>Kaminski M., Internal and External Limits of the Principle of Consistent Interpretation of Domestic Law with the Directives of the European Union and Their Relevance for the Adjudication of the Administrative Courts, Białostockie Studia Prawnicze, 2018, 13.

<sup>21</sup>იქვე.

<sup>22</sup>Haket S., Coherence in the Application of the Duty of Consistent Interpretation in EU Law , in: Review of Administrative Law, Paris Legal Publishers, 2015, 220.

გამოყენებას, არის სამართლიანობის სუბიექტური ხასიათი. არ არსებობს სამართლიანობის ზოგადი აბსტრაქტული ფორმულა, რომელსაც ექნებოდა უნივერსალობის პრეტენზია ყველა კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურ თავისებურებებზე<sup>23</sup>. შესაძლებელია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებების, პრინციპებისა და სახეების გამოყოფა. შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინოს, რა იქნება სამართლიანი.

სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, როდესაც არგუმენტაციის პროცესში ერთგვარ ღირებულებითი შეფასება<sup>24</sup> ზოგიერთი ფიქრობს, რომ მოსამართლემ საკუთარი ღირებულებებისა და პრინციპებისგან დამოუკიდებელი გზით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება<sup>25</sup>, რადგან თუ ის იურიდიული არგუმენტაციის პროცესში ღირებულებებსაც ეფუძნება, ვერ იმოქმედებს მხოლოდ წმინდა იურიდიულ საზღვრებში<sup>26</sup>. თუმცა, ხშირად ობიექტურ წესრიგშიც კი საჭირო ხდება ადამიანური ფაქტორების გამოკვეთა და სამართლის „გაჰუმანურება“<sup>27</sup>. მიუხედავად ამისა, სასამართლო, როგორც წესი, მაქსიმალურად ერიდება იურიდიული არგუმენტაციის პროცესში ჩართოს ეთიკური, მორალური და სხვა ღირებულებითი შეფასებები. ამ სიფრთხილეს აქვს თავისი ახსნა- მორალზე, სამართლიანობაზე, ღირებულებებზე არსებობს განსხვავებული შეხედულებები და ხშირად, რადიკალურად დაპირისპირებული პოზიციებიც კი<sup>28</sup>.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, რადგან *Contra legem* განმარტება არის პრობლემური, მოითხოვს წონად, მნიშვნელოვან არგუმენტებს, მოსამართლის მხრიდან დიდ გაბედულებას<sup>29</sup> და

---

<sup>23</sup> ხუბუა გ., განმარტება *contra legem*, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, #2, 2018, 19.

<sup>24</sup> იქვე, 17.

<sup>25</sup> Waldron J., *Judges as a Moral Reasoners*, in: *International Journal of Constitutional Law*, Oxford Academic, 2009, 9.

<sup>26</sup> ხუბუა გ., განმარტება *contra legem*, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, #2, 2018, 17.

<sup>27</sup> გეგენავა დ., კამიუ „უცხო“, სამართალი და მორალი გემოვნებით, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018, 59.

<sup>28</sup> ხუბუა გ., განმარტება *contra legem*, სტატია ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, #2, 2018, 19.

<sup>29</sup> იქვე, 13.

სრულყოფილ დასაბუთებას<sup>30</sup>, მას მიმართავენ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

## 1. *Contra legem* განმარტების თავისებურებები

განმარტებას *contra legem* ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. უპირველესად, მისი გამოყენება არ შეუძლია ნებისმიერ მოსამართლეს და ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში. საქართველოში ნორმის საბოლოო განმარტებაზე, მისთვის გარკვეული შინაარსის მიცემასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე უფლებამოსილია უზენაესი სასამართლო<sup>31</sup>. შესაბამისად, კანონს მისი შინაარსის საწინააღმდეგო განმარტება შეიძლება მისცეს მხოლოდ საკასაციო სასამართლოებმა და, შეიძლება ითქვას, მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს. გერმანული მიდგომით, მოსამართლემ არ უნდა დაიცვას არაადამიანური კანონები, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის სამართლიანობისა და მორალის შესახებ გაბატონებულ შეხედულებებთან<sup>32</sup>. განსაკუთრებულ შემთხვევებში მოსამართლემ უნდა იმოქმედოს კანონის წინააღმდეგ და სამართლიანობის სასარგებლოდ; თუ მოსამართლე გამოიყენებს კანონის საწინააღმდეგო განმარტებას *contra legem*, ის მოქმედებს კონსტიტუციის ფარგლებში, რამდენადაც არ დაურღვევია კონსტიტუციით განმტკიცებული სამართლის პრინციპები<sup>33</sup>. გერმანელი მოსამართლეები ამ კუთხით გამოირჩეოდნენ დიდი გამბედაობით მაშინ, როდესაც განიხილავდნენ ნაცისტური გერმანიის დროინდელ ადამიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. ერთ-ერთი ასეთია პუთფარკენის საქმე, სადაც ტიურინგის სისხლის სამართლის სასამართლომ დამსმენი პუთფარკენი დამნაშავედ სცნო როგორც მკვლელობის თანამონაწილე, მოსამართლეები კი, რომლებმაც გიოტიჰს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს

<sup>30</sup> ფარცვანია მ., CONTRA LEGEM ინტერპრეტაცია: ერთი საინტერესო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრაქტიკიდან, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N3, 2019, 88.

<sup>31</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>32</sup> ხუბუაგა, განმარტება *contra legem*, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, #2, 2018, 17.

<sup>33</sup> იქვე.

კანონისა და სამართლის დარღვევით, დამნაშავედ ცნეს მკვლელობის ჩადენაში<sup>34</sup>. ეს არის უნიკალური და უიშვიათესი შემთხვევა სამოსამართლო, და შეიძლება ითქვას, თანამედროვე კაცობრიობის ისტორიაშიც, რადგან განზრახ მკვლელობის ჩადენა შეერაცხა უშუალოდ ქვეყნის სასამართლოს.

განმარტება *contra legem* უპირატესობას ანიჭებს არა კანონს, არამედ სამართალს, რომელიც გამომდინარეობს კონსტიტუციური მართლწესრიგიდან და უზრუნველყოფს კონკრეტული შემთხვევის სწორ, სამართლიან გადაწყვეტას<sup>35</sup>. ხშირად „დამარცხებულა“ იურიდიული წესები თუ პრეზუმფციები სამართლიანობის საფუძვლებით<sup>36</sup>. აღნიშნულ საკითხთან ევროპული კავშირის სამართალს აქვს შედარებით მკაცრი მიდგომა. აღნიშნავენ, რომ განმარტება, რომელიც სცდება კანონის დებულებების პირდაპირ მნიშვნელობას, ავტომატურად წინააღმდეგობაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან<sup>37</sup>. ეროვნული სასამართლოები *contra legem* განმარტების გამოყენებით დაუპირისპირდებიან ევროკავშირის დირექტივებს, რადგან მოცემულ შემთხვევაში შიდაეროვნული კანონმდებლობის ფორმულირება მოხდება იმგვარად, რომ ცალსახად შეუსაბამო იქნება დირექტივებთან<sup>38</sup>.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ განმარტება *contra legem* ასევე იძლევა სოციალურ სინამდვილეში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებისა და მათზე დროული რეაგირების შესაძლებლობას<sup>39</sup>. სამართლებრივ სახელმწიფოში, ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ კანონი უნდა იყოს დინამიური, განჭვრეტადი და სტაბილური<sup>40</sup>, არ შეიძლება, გარემო ფაქტორების ყოველ ცვლილებას მოსდევდეს კანონების ცვლილება. უნდა

<sup>34</sup> რადბრუხი გ., კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი, #2, 2012, 320.

<sup>35</sup> ხუბუა გ., განმარტება *contra legem*, სტატიაჟურნალშისამართლისმეთოდები, #2, 2018. 1.

<sup>36</sup> <<https://bit.ly/2ESs0nb> > [07.08.2020]

<sup>37</sup> Kaminski M., Internal and External Limits of the Principle of Consistent Interpretation of Domestic Law with the Directives of the European Union and Their Relevance for the Adjudication of the Administrative Courts, 2018, 22.

<sup>38</sup> <<https://bit.ly/3hMivji> > [07.08.2020]

<sup>39</sup> ხუბუა გ., განმარტება *contra legem*, ჟურნ. სამართლის მეთოდები, #2, 2018, 1.

<sup>40</sup> უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მერაბ ბაბუხადაის თარგმანი, იოსებ ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 18.

იცვლებოდეს არა კანონები, არამედ მათი განმარტებები, რაც სწორედ სასამართლო პრაქტიკისა და მოსამართლის საქმეა.

შესაბამისად, განმარტება *contra legem* არის ერთ-ერთი ბერკეტი მოსამართლის ხელში, რომ პასუხი გასცეს საზოგადოების მოთხოვნილებებს და სოციალურ სინამდვილეს. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, მართლმსაჯულებამ დღის შუქზე უნდა გამოიტანოს კონსტიტუციური მართლწესრიგისთვის იმანენტური ის ღირებულებითი წარმოდგენები, რომლებიც კანონმდებლობაში არ არის, ან მკაფიოდ არაა გამოხატული, და შეძლოს მათი რეალიზაცია სასამართლოს გადაწყვეტილებებში<sup>41</sup>.

## 2. *Contra legem* განმარტება და სამართალშემოქმედების საფრთხე

დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი და მიდგომა პრაქტიკოსებსა და სამართლის მეცნიერებს შორის განმარტებაზე *contra legem*. აშკარად დადებითი შედეგების და ტენდენციების მიუხედავად, რაც უკავშირდება აღნიშნული განმარტების გამოყენებას, სამართლის მეცნიერთა ნაწილი მასში საშიშროებას ხედავს. კერძოდ, საქმე ეხება, სამართალშეფარდების ნაცვლად, სამართალშემოქმედების ფუნქციის მითვისებას სასამართლოს მიერ.

მართალია, ხელისუფლების დანაწილება წარმოუდგენელია, რადგან ხელისუფლება ერთიანი და განუყოფელია<sup>42</sup>, თუმცა ერთმანეთისგან მკაფიოდაა გამიჯნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების უფლებამოსილებები. კანონს ქმნის პარლამენტი, პოლიტიკური ორგანო და მათ ყოველთვის ამოდრავებთ პოლიტიკური ინტერესები, სასამართლოს მიმართ კიარის მოთხოვნა, რომ სრულად უნდა

---

<sup>41</sup>ხუბუაგ., განმარტება *contra legem*, *ჟურნ.სამართლისმეთოდები*, #2, 2018, 8; იხ. ციტირება: BVerfG, 14.2.1973, 34, 269.

<sup>42</sup> გეგენავა დ., ძალაუფლების გამიჯვნის ქართული მოდელის პრობლემა, *ჟურნ. სახელმწიფო მმართველობის მოდელები: საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა*, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 2.



იყოს დაცლილი პოლიტიკური იდეებისგან მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. შესაბამისად, მოსამართლეს უწევს, პოლიტიკურად ანგაჟირებული კანონმდებლობა გარდაქმნას სამართლებრივად და მოარგოს კონკრეტულ შემთხვევებს, რაც ხშირად საკმაოდ რთული პროცესია.

სამართლებრივი რეალიზმის ფუძემდებელი, მოსამართლე ჰოლმსი მიიჩნევს, რომ მხოლოდ სასამართლოს ფაქტობრივი ქმედებები შეადგენს სამართალს, როგორც ის არის („არსი“ სამართალში); მისი თქმით, „სამართლის ცხოვრება არ ექვემდებარება ლოგიკას, არამედ შეესაბამება პრაქტიკას“<sup>43</sup>. ფრენსის ბეკონი, პირიქით, მიიჩნევს, რომ „საუკეთესო ის კანონია, რომელიც ყველაზე ნაკლებ არეალს ტოვებს მოსამართლის თვითნებობისთვის, ხოლო საუკეთესო მოსამართლე არის ის, ვინც ყველაზე ნაკლებად მოქმედებს საკუთარი მიხედულებით“<sup>44</sup>.

თუმცა თავად კანონმდებელი ანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას, შეავსოს ცარიელი ადგილები, ხარვეზები<sup>45</sup>, კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებული კანონისა და სამართლის ანალოგია სხვა არაფერია, თუ არა მოსამართლისთვის მინიჭებული ფართო დისკრეცია. მიიჩნევენ, რომ კანონის, ან სამართლის ანალოგიის გამოყენების პროცესში მოსამართლე, ფაქტობრივად, ახალ ნორმას ქმნის<sup>46</sup>. უზენაეს სასამართლოს არ გააჩნია არც ნეგატიური და, მითუმეტეს, არც პოზიტიური კანონმდებლის ფუნქცია, ის მხოლოდ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოა<sup>47</sup> და ამოწმებს საჩივართა სამართლებრივ

---

<sup>43</sup> აფონასინინი, დიდიკინია., სამართლის ფილოსოფია, თამთასეხნიაშვილის, თამარაზარქუას, თამარმამულაშვილის, ლინდაგიორგაძისა და დალიანაგიორგაძის თარგმანი, დიმიტრი გენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 67.

<sup>44</sup> ქურდაძე, ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2015, 50.

<sup>45</sup> კობრიძე, ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით შემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2 (41), 2014, 12.

<sup>46</sup> კობრიძე, ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით შემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2 (41), 2014, 12.

<sup>47</sup> საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ნაწილს. თუმცა, მისი პრაქტიკის მიხედვით, იგი სულ უფრო მრავალფეროვან მიმართულებებს იძენს<sup>48</sup>. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ, სასამართლოს წარუდგინონ მხოლოდ მტკიცებულებები, სამართლებრივი ურთიერთობის დაკონკრეტებასა და საფუძვლების მოძიებას სასამართლო საკუთარ თავზე იღებს<sup>49</sup>. ასევე აღსანიშნავია, რომ მართალია, საქართველო სამართლის ევროპულ ოჯახს მიეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე ემორჩილება პოზიტიურ კანონმდებლობას, თუმცა უზენაესი სასამართლო წლებია ამკვიდრებს ნორმათა ერთმნიშვნელოვნად განმარტებისა და თანმიმდევრულ სასამართლო პრაქტიკას. მეტიც, იგი განსახილველად არ მიიღებს საქმეს, თუ ანალოგიურ საკითხზე გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს<sup>50</sup>. აქედან გამომდინარე, მართალია, კანონს იღებს პარლამენტი, მაგრამ ის მოქმედებს მხოლოდ იმ შინაარსით, რასაც სასამართლო მიაჩნებს<sup>51</sup>.

გარდა ამისა, არსებობს სამი ხერხი, რომელთა მეშვეობითაც კანონმდებელი ადგენს დამატებით თავისუფლებას სასამართლოსთვის:

1. მარტივი მითითება
2. შეფასებითი კატეგორიის გამოყენება
3. კომბინირებული ხერხი<sup>52</sup>.

კანონის ტექსტი, რომელიც შემუშავებულია ტერმინებით- „შეუძლია“, „უფლება აქვს“, უფლებამოსილია“, შესაძლოა, თვითნებობის კუთხით გაცილებით მეტ საფრთხეს შეიცავდეს, ვიდრე განმარტება *contra legem*. სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ სამსჯელო საკითხად მიიჩნევა

<sup>48</sup> გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, ლადო ჭანტურია 55, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, 2018, 141.

<sup>49</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება №ას-559-2019.

<sup>50</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>51</sup> კობრიძე ლ., ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2 (41), 2014, 11.

<sup>52</sup> ქურდაძემ., ხუნაშვილინ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2015, 55.

მოსამართლისთვის დისკრეციის მინიჭება და კანონის განმარტების მნიშვნელობა, რადგან ადამიანები დიდი ხანია აღარ განისჯებიან თვალახვეული თემიდას<sup>53</sup> სამართლით, რადგან კანონი არ არის აზრისგან, მნიშვნელობისგან, სოციალური გარემოებებისგან დაცლილი სიტყვების კომბინაცია. ყოველი მცდელობა, მოსამართლეები დაამსგავსონ უგრძნობ, უსულო არსებებს სრულდებოდა კრახით და მომავალშიც ასევე გაგრძელდება. კოდექსები მალე შეიძლება მოძველდნენ, ჩამორჩნენ დროს და უვარგისი აღმოჩნდნენ, თუკი მათ ხელს არ შეუწყობს ცოცხალი სამოსამართლო მოღვაწეობა; მკვდარ ნორმებს სული უნდა შთაბეროს მოსამართლემ, რომელსაც ყველაზე მეტად უხდება ამ უსულო ნორმების მისადაგება ცოცხალი ცხოვრებისეული მოვლენებისადმი<sup>54</sup>.

### 3. **Contra** **legem** განმარტებაშეჯიბრებითობისადაინკვიზიციურობისურთიერთმიმ ართებისკონტექსტში

სამოქალაქო პროცესში ცნობილია ფაქტების დადგენისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების გარკვევის ორი ძირითადი მეთოდი: პირველი - ესაა სამძებრო, ანუ ინკვიზიციური მეთოდი, რომლის თანახმად, სასამართლო ვერ დაჯერდება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თვითონაა ვალდებული, თავისი ინიციატივით შეკრიბოს მტკიცებულებები, განსაზღვროს მტკიცების საგანი, მიიღოს ყველა ზომა მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად; მეორე - ესაა შეჯიბრებითობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხარეთა აქტიურობას და რომლის მიხედვით მტკიცების საგნის განსაზღვრა და ამ საგანში შემავალი ფაქტების დამტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება

<sup>53</sup> თემიდა - მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის ქალღმერთი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში.

<sup>54</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 27.

მხარეებს. სასამართლოს აქტივობა, მისი ინიციატივით მტკიცების პროცესში ჩარევა დასაშვებია იმ ზომით და ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით<sup>55</sup>.

საქართველოში სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდება შეჯიბრებითობის საფუძველზე<sup>56</sup>. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები<sup>57</sup>.

თუმცა, რა თქმა უნდა, ამ წესიდანაც არსებობს გამონაკლისი და მეორე ნაწილის მიხედვით - „საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს“. როგორც მუხლის დეფინიციიდან ირკვევა, მართალია, მხარეები თავად წყვეტენ, როგორ წარმართონ პროცესი, მაგრამ კანონმდებელი მოსამართლეს უტოვებს მოქმედებს არეალს, რომელიც ხშირად საკმოდ ფართოც შეიძლება იყოს. მაგ. სსსკ-ს თანახმად, რომელიც ეხება მოსამართლის აცილების საკითხს, ერთპიროვნულად განხილვის შემთხვევაში აცილების საკითხს წყვეტს თავად საქმის განმხილველი მოსამართლე, ასევე კოლეგიურად განხილვისას თუ სრული შემადგენლობის აცილებაა მოთხოვნილი, კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას<sup>58</sup>. პრობლემურია საკითხი, რომ მოსამართლემ თავად უნდა გადაწყვიტოს მაგ. იქნება თუ არა სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით - ობიექტური და მიუკერძოებელი, რამაც მხარე ხშირად შესაძლოა გამოუვალ და უსამართლო მდგომარეობაშიც კი ჩააყენოს, მითუმეტეს, რომ აცილების შესახებ განჩინება საჩივრდება საბოლოო

<sup>55</sup>ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 8.

<sup>56</sup>საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>57</sup>სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>58</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი.

გადაწყვეტილებასთან

ერთად.

ასევე ბუნდოვანებაა სსსკ-ს 97-ე მუხლში, კერძოდ, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის ადვოკატად დაშვებაზე, რომელსაც არ აქვს „საკმარისი მონაცემები“. რა თქმა უნდა, აქ საუბარია ადამიანზე, რომელსაც არ აქვს ადვოკატის ლიცენზია, თუმცა რას მიიჩნევს კონკრეტული მოსამართლე არასაკმარის მონაცემად, წინასწარ დაუდგენელია.

მართალია, სსსკ-ს მე-4 მუხლში არსებული გამონაკლისის მიზანია, რომ მოსამართლემ შეძლოს საქმის განხილვა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად<sup>59</sup> და, შესაბამისად, მიიღოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება, მაგრამ აღნიშნული ჩანაწერი აშკარად ბუნდოვანია და იწვევს ორაზროვნებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება საქართველოში შეჯიბრებითი არის მხოლოდ მხარეების მიმართ, რომ მათ ჰქონდეთ ფაქტებისა თუ მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობები, თუმცა პროცესი გაჯერებულია მთელი რიგი ინკვიზიციური ელემენტებით. სამოქალაქო სასამართლო იძენს სრულ ინკვიზიციურ ხასიათს საოჯახო და მემკვიდრეობით დავებში, რაც შემდეგ თავში იქნება განხილული.

---

<sup>59</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი.

### III. სასამართლოს როლი დამიხედულების მნიშვნელობას აოჯახო დამემკვიდრეობით სამართლებრივ დავაში

საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივი დავები გამოირჩევიან სენსიტიურობით და სასამართლოსგან თავისებურ მიდგომას საჭიროებენ<sup>60</sup>. სპეციფიკურია როგორც დავის წარმოშობის საფუძვლები, ისე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები და შედეგებსაც განსხვავებულს წარმოშობს, განსხვავებით სხვა კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისგან<sup>61</sup>. ოჯახური ურთიერთობები არ არის და არც უნდა იყოს დამყარებული მომხმარებლურ საწყისებზე, მოგების მიღებაზე, სარგებელსა და დანაკარგზე, რაზეც აგებულია ძირითადად სამოქალაქო სამართალი. სწორედ ამ განსხვავებული ბუნების გამო ხშირად გამოთქვამენ იდეას, რომ საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის კოდექსი ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი სამოქალაქო კოდექსისგან.<sup>62</sup>

სიტყვა „ოჯახის“ განმარტება საკმაოდ რთულია და კიდევ უფრო მეტად რთულია „საოჯახო სამართლის“ განსაზღვრა<sup>63</sup>. მას სხვადასხვა სიტუაციაში ადამიანები სხვადასხვაგვარად განმარტავენ<sup>64</sup>. საოჯახო სამართალი, შესაძლოა ითქვას, რომ საკმაოდ ბოლო გამოგონებაა, განსაკუთრებით როგორც აკადემიური საგანი<sup>65</sup>. არსებობს ასეთი ჩაკეტილი წრე - საოჯახო სამართალი არეგულირებს ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ხოლო ოჯახი კი წარმოადგენს იმ პირთა ერთობლიობას, რომელთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საოჯახო სამართალით; ამ წრის გასარღვევად საჭიროა დამატებითი კრიტერიუმები<sup>66</sup>. ერთ-ერთი

<sup>60</sup>Herring J., Family Law, University of oxford, 2015, 574.

<sup>61</sup>Conway H., Family Law (key cases), London, 2012, 24.

<sup>62</sup>შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი: (თეორია და პრაქტიკა), თბილისი, 2011, 31.

<sup>63</sup>Harris-Short S., Miles J., Family Law, text, cases and materials, New York, 2011, 2.

<sup>64</sup>იქვე, 1.

<sup>65</sup>Burton F., Family Law, London, 2003, 3.

<sup>66</sup>შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი: (თეორია და პრაქტიკა), თბილისი, 2011, 26.

ასეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ოჯახის წევრთა შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლების ხასიათი - ისინი წარმოიშობიან ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანისა და აღსაზრდელად ბავშვის მიღების, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საფუძველზე. სწორედ ეს საფუძვლები აძლევს აღნიშნულ ურთიერთობებს ღრმად პირადულ ხასიათს, რაც მათი რეგულირების სპეციფიკასაც განაპირობებს<sup>67</sup>.

სპეციფიკური მიდგომა კი გამოიხატება იმაში, რომ სასამართლო იძენს ინკვიზიციურ ხასიათს, დისკრეცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაში<sup>68</sup> და მოსამართლეს აღნიშნული დავების წარმართვისას აქვს გაცილებით მეტი უფლებამოსილება, ვიდრე სხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.

თუმცა, იდეას, რომ საოჯახო ურთიერთობები წარმოადგენს უფრო მეტად საჯარო სამართალს, ვიდრე კერძოს, ხშირად მხარს უჭერენ როგორც სამართლის მეცნიერები, ისე სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოც კი. შესაბამისად, თეორიაში აღნიშნავენ, რომ „ქორწინება ოჯახის საფუძველია, რომლის დანიშნულება, პირველ ყოვლისა, არის ბავშვების აღზრდა და მათ მომავალზე ზრუნვა, რაც არ შეიძლება არ შედიოდეს საზოგადოების ინტერესებში; ამიტომ როგორც დაქორწინების პირობები, ისე განქორწინების საფუძვლებიც არ შეიძლება ითვლებოდეს თავად მეუღლეთა კერძო ინტერესად და საქმედ“<sup>69</sup>. უზენაესი სასამართლოც, თავის მხრივ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს - მართალია, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება; სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო ინარჩუნებს უფლებას, დაადგინოს ის გარემოებანი, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს

---

<sup>67</sup>შენგელიარ., შენგელიაე., საოჯახოსამართალი: (თეორიადაპრაქტიკა), თბილისი, 2011, 26.

<sup>68</sup>Standley K., Davies P., Family Law, Eighth edition, New York, 2013, 9.

<sup>69</sup>ქურდაძემ., ხუნაშვილინ., საქართველოსსამოქალაქოსაპროცესოსსამართალი, თბილისი, 2015, 543.

არასრულწლოვანის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მიღებას<sup>70</sup>, ამავე გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „ამკატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოს შემუშავებულია: ა) თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმგარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა; ბ) თავის ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად“<sup>71</sup>.

დაბოლოს, რომ არა კანონმდებლების მიდგომა, რომელიც, რა თქმა უნდა, იკითხება მათ მიერ მიღებულ კანონებში, სასამართლო ვერ შეძლებდა მხოლოდ საკუთარი ინიციატივით გაეზარდა და დაედგინა მოქმედების არეალი. მთელი საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის თავი სამოქალაქო კოდექსში ამის დასტურია. სასამართლოსთვის საოჯახო დავებში მინიჭებული ფართო დისკრეცია, რაც ხშირად კანონს მიღმა გასვლასაც გულისხმობს,<sup>72</sup> არის არა მხოლოდ უფლებამოსილება, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც. ნათელია, რომ სასამართლოს და, შესაბამისად, მოსამართლეს აკისრიათ მთავარი როლი საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივ დავაში.

---

<sup>70</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №ას-53-51-2016.

<sup>71</sup> იქვე.

<sup>72</sup> Houlgate D.L., *Philosophy, Law and the Family*, California, 2017, 50.



## 1. საოჯახო დამემკვიდრეობით სამართლებრივი დავის სპეციფიკა და მოსამართლის მიხედვით ფარგლების გამოქალაქო სამართალწარმოების ზოგადჭრილში

სოციოლოგიური გაგებით, ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე, ნათესაობასა და ბავშვების აღზრდაზე დაფუძნებული კავშირი, რომელიც განპირობებულია ერთად ცხოვრების, ინტერესთა ერთიანობისა და ურთიერთზრუნვის ფაქტორით; ოჯახური კავშირი წარმოადგენს მეტად რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაირსახეობას, რომელშიც აისახება არა მარტო პირთა განსაზღვრული წრის მრავალწახნაგოვანი ინტერესები, არამედ ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესაბამისი თავისებურებები<sup>73</sup>. ჯანსაღი ოჯახების არსებობით და ინტერესებულია როგორც საზოგადოება, ასევე სახელმწიფოც. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით<sup>74</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვების არაჯანსაღ გარემოში აღზრდამ მრავალი პრობლემა შეიძლება შექმნას და გამოიწვიოს არაერთი დანაშაული.

საოჯახო ურთიერთობათა განსაზღვრული ნაწილი სამართლებრივი ზემოქმედების გარეთ რჩება, ისინი უმეტესად ზნეობრივი ნორმებით რეგულირდებიან<sup>75</sup>. ის ნაწილი კი, რომელიც სახელმწიფოს რეგულირების ქვეშაა, ფრთხილ მოპყრობას საჭიროებს სასამართლოსგან. უპირველესად, საქმე ეხება „შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პროპორციულობის საკითხს, .... , საოჯახო საქმეთა განხილვისას პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს აძლევს უფლებას, „წარმართოს საქმის წარმოება“, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს

<sup>73</sup>შენგელიარ., შენგელიაე., საოჯახოსამართალი: (თეორიადაპრაქტიკა), თბილისი, 2011, 10.

<sup>74</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ას-85-81-2017.

<sup>75</sup>შენგელიარ., შენგელიაე., საოჯახოსამართალი: (თეორიადაპრაქტიკა), თბილისი, 2011, 13.

საქმის მიმდინარეობასა და პროცესის შედეგზე; სასამართლო საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები. სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს<sup>76</sup>.

საქართველოში დისკრეციის მინიჭების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილება, დიდ ბრიტანეთში კი პირიქით, მის ნაკლოვანებად ასახელებენ; კერძოდ, მას შეუძლია შექმნას არაპროგნოზირებადი ვითარება და დისკრეციის განხორციელებამ, რაც მის მსგავსი სიტუაციებში სხვადასხვაგვარ გამოყენებას გულისხმობს, საქმე შესაძლოა გახადოს გაცილებით შრომატევადი, რასაც მეტი დრო სჭირდება და რაც ასევე გაზრდის სასამართლო პროცესის ღირებულებას<sup>77</sup>.

უზენაესი სასამართლო ქართულ პრაქტიკაში აქტიურად ამკვიდრებს ადამიანის ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ, სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ მუხლები, რომლებიც ფართო დისკრეციის შესაძლებლობას უტოვებს სასამართლოს, განიმარტოს ერთგვარად<sup>78</sup>, ჩამოყალიბდეს თანმიმდევრული პრაქტიკა<sup>79</sup> და - მსგავსი საქმეები გადაწყდეს მსგავსად<sup>80</sup>, აღნიშნული, თავის მხრივ, ამცირებს მოსამართლეთა მხრიდან თვითნებობის რისკს.<sup>81</sup>

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილებაში მოტივებზე საუბარი და დისკრეციის მიზნების დასაბუთება. მოტივები, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს სასამართლო დისკრეციისას, სამოქალაქო

---

<sup>76</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება №ას-53-51-2016.

<sup>77</sup>Standley K., Davies P., Family Law, Eighth edition, New York, 2013, 10.

<sup>78</sup>NejdetŞahin and Perihan Şahin v. Turkey, [ECtHR], App. No. 13279/05, §59, 21 October, 2011.

<sup>79</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №ას-733-733-2018.

<sup>80</sup>გოგიაშვილი, როგორავითარებენმოსამართლეებისამართალს, ჟურნ.

„ქართულისამართლისმიმოხილვა“, ტომი -8, #1-2, 2005, 60.

<sup>81</sup>Standley K., Davies P., Family Law, Eighth edition, New York, 2013, 10.

სამართალში ყველაზე მეტად გვხვდება სწორედ საოჯახო სამართლის სფეროში<sup>82</sup>. ესენია - ბავშვების ოჯახში აღზრდის პრიორიტეტი, მათ კეთილდღეობასა და განვითარებაზე ზრუნვა, არასრულწლოვანის (ბავშვი) უფლებებისა და ინტერესების პრიორიტეტული დაცვა და სხვა; მოტივი არ არის ცარიელი აბსტრაქცია, დისკრეციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ, შეიძლება ითქვას, რომ სავალდებულოდაც კი უნდა მიუთითოს მოტივზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ სასამართლო მიხედულების სფეროს დაუშვებლად აფართოებს<sup>83</sup>.

იმავე იდეას ემსახურება დისკრეციის (მიხედულების) მიზნის დაკონკრეტებაც. დისკრეციის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, არის სასამართლოს მიერ სამართლებრივი ურთიერთობის დაკონკრეტება; ასევე მიზანში იგულისხმება ლოკალური სამართლებრივი შედეგი, რომელიც მიიღწევა იმ კონკრეტული ნორმის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო დისკრეციას<sup>84</sup>.

ერთი შეხედვით შედარებით მარტივია საოჯახო სამართლის განსაზღვრა და სასამართლოსაც ნაკლები პრობლემები ექმნება იმ ქვეყნებში, სადაც კოდიფიცირებული კანონმდებლობაა, პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში კი, პირიქით<sup>85</sup>. როგორც ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, ამერიკული საოჯახო სამართალი არის ქაოსში; ფედერალური, სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოები მოქმედებენ და იყენებენ საკონსტიტუციო, ნორმატიულ და მოსამართლეთა შექმნილ სამართალს, ერთად ეს კანონები არეგულირებენ ოჯახებს და ოჯახურ ცხოვრებას, მაგრამ საჭიროა ბრძოლა, რომ იპოვო თემატური კავშირი ერთი დოქტრინისა მეორესთან<sup>86</sup>. ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ამერიკულ საოჯახო სამართალში დღეს არსებული შესაბამისობა არის არასრულყოფილი,

---

<sup>82</sup>ქურდაძემ., ხუნაშვილინ., საქართველოსსამოქალაქოსაპროცესოსამართალი, თბილისი, 2015, 76.

<sup>83</sup>ქურდაძემ., ხუნაშვილინ., საქართველოსსამოქალაქოსაპროცესოსამართალი, თბილისი, 2015, 76.

<sup>84</sup>იქვე, 58.

<sup>85</sup> Harris-Short S., Miles J., Family Law, text, cases and materials, New York, 2011, 2.

<sup>86</sup>Burton F., Family Law, London, 2003, 33.

რადგან ორი პრინციპი - ბიბლიური ტრადიციონალიზმი და ლიბერალური ინდივიდუალიზმი- ერთიანდება, რომ ახსნას მისი ცენტრალური ცნებები, თუმცა თითოეული ეს პრინციპი ინდივიდუალურად არის გაუმართავი და, ერთად აღებული, ისინი ძალიან ხშირად არაპროდუქტიული დამაბულობის პირობებში არიანდა სწორედ ამ კონფლიქტურმასიტუაციებმა ამერიკული საოჯახო სამართალი აქცია შეუსაბამოდ (არათანმიმდევრულად)<sup>87</sup>. ბოლოს, უნდა ითქვას, რომ სასამართლო დისკრეციის განხილვისას კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს გამოყოფენ. აღნიშნავენ, რომ საოჯახო სამართლის დისკრეციული ბუნება ასევე გავლენას ახდენს საჩივრებზე, რადგან შეიძლება არსებობდეს რამდენიმე შესაძლო გონივრული გადაწყვეტილება საოჯახო სამართლის დავის გადაწყვეტისას, ზემდგომ სასამართლოებს ხშირად არ სურთ, გააუქმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები<sup>88</sup>, თუ არ არის აშკარა შეუსაბამობა, უკანონობა, ან ფაქტების არასწორი განმარტება, რაც არცთუ კარგი პრაქტიკაა.<sup>89</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი მსჯელობის თანახმად, მოსამართლისათვის ფართო მიხედულების მინიჭებას აქვს არაერთი კერძო თუ საჯარო სახის საფუძველი. მოსამართლე, იაზრებს რა საკუთარ დანიშნულებას და მნიშვნელობას საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლებრივ დავებში, ცდილობს, ყოველთვის მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც იქნება ოჯახის წევრთა საუკეთესო ინტერესების გამტარებელი. სასამართლოს უნდა ჰქონდეს მხარდაჭერა ამ კუთხით, როგორც ხელისუფლების სხვა შტოებისგან, ისე სამოქალაქო თუ იურიდიული საზოგადოებისგან.

---

<sup>87</sup> იქვე, 34.

<sup>88</sup> Standley K., Davies P., Family Law, Eighth edition, New York, 2013, 10.

<sup>89</sup> იქვე.

## 2.სასამართლოსროლიდამოსამართლისპიროვნულობისმნიშვნელობასაოჯახოდამემკვიდრეობითსამართლებრივდავაში

გავრცელებული შეხედულების თანახმად, არ არსებობს „ჭეშმარიტი“ მნიშვნელობა, არსებობს მხოლოდ „სათანადო“ ინტერპრეტაცია<sup>90</sup>. „მოსამართლე, გათვითცნობიერებული აქვს რა თავისი სამოქალაქო ვალი, უნდა იყოს სამართლის არა უბრალო გამომყენებელი, არამედ მისი განმარტების შემოქმედი, რადგან კანონის განმარტება იგივეა, რაც მისი ხელახალი შექმნა: მოდავე მხარეები ემორჩილებიან კანონს იმ სახით, რა სახითაც იგი განმარტებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ანუ ზოგად წესს, რომელიც ცნობილი გახდა მხოლოდ გადაწყვეტილების შემდეგ“<sup>91</sup>.

როგორც უკვე აღინიშნა, საოჯახო და მემკვიდრეობითსამართლებრივ დავებში მოსამართლე აღჭურვილია ფართო მიხედულებით, იგი თავად წყვეტს მეუღლეებს შორის ქონების გაყოფის საკითხს, ბავშვის მიკუთვნების და მშობლებთან ურთიერთობის სახესა და ვადებს, მოსამართლე უფლებამოსილია შვილი ჩამოაშოროს მშობლებს და ჩამოართვას მშობლის უფლება, წყვეტს მემკვიდრეობის მიღების და ოჯახის წევრებს შორის ქონებრივ დავებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა მოსამართლისგან მოითხოვს არა მხოლოდ კანონისა და სამართლის პრინციპების ან განმარტების მეთოდების ცოდნას, რაც უფრო მეტად ტექნიკური საკითხებია, არამედ მაღალ ზნეობრივ და მორალურ შინაგან ღირებულებებსა და თვისებებს, ადამიანურ მიდგომებს და ა.შ.

თუმცა, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მოსამართლემ, ამავედროულად, უნდა შეძლოს და გადაწყვეტილება არ ააგოს მხოლოდ ემოციებსა და გრძნობებზე, არამედ მისი შინაგანი რწმენა უნდა ექცეოდეს წმინდა სამართლებრივ ჩარჩოებში. შეიძლება ითქვას, რომ

<sup>90</sup>ბარაქია., ჰერმენევტიკადაკონსტიტუციისინტერპრეტაცია, პატაჯავახიშვილისთარგმანი, ჟურნ.,„სამართლისმეთოდები“, #1, 201, 4.

<sup>91</sup>კოხრეიძელ., ზოგიერთისამოქალაქო-

სამართლებრივინორმისგანმარტებისპრობლემებიკანონითმემკვიდრეობასთანდაკავშირებულიდავებისგანხილვისას, ჟურნ.,„მართლმსაჯულებადაკანონი“, #2 (41) , 2014 , 11.

მოსამართლეების მიმართ არსებობს მოთხოვნა, იპოვნონ ოქროს შუალედი მორალსა და სამართალს შორის. მორალისაგან კანონის სრულად დაცვას შესაძლოა მოჰყვეს ის შედეგები, რაც მოჰყვა ნაცისტების მმართველობას გერმანიაში. სამართლის გამორალურებაც, თავისი მხრივ, წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს, რადგან, როგორც აღინიშნა<sup>92</sup>, მორალი და ზნეობა ყველა ადამიანისთვის განსხვავებულად განიმარტება და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

მოსამართლეებმა უნდა შეძლონ და საოჯახო დავებში შებოჭონ საკუთარი შინაგანი მრწამსი თუ თვითნებობის სურვილი. ამერიკულ სამართალში მოსამართლე ჰოლმსმა დაამკვიდრა სასამართლო თვითობის დოქტრინა,<sup>93</sup> რაც მრავალმა სხვა ქვეყანამაც გაიზიარა. „სამოსამართლო თვითობა“ წარმოადგენს სასამართლო ინტერპრეტაციის თეორიას, რომელიც მოუწოდებს მოსამართლეებს, თავად შეზღუდონ საკუთარი ძალაუფლება კანონის სასარგებლოდ; ამ მექანიზმის გამოყენებით მოსამართლეები ერთგვარ თვითკონტროლს ახორციელებენ და გარანტიებს ქმნიან პოლიტიკისგან თავისუფალი სასამართლო ხელისუფლების არსებობისთვის<sup>94</sup>, და არამხოლოდ პოლიტიკისგან. რადგან როგორც მოსამართლე დუგლასმა აღნიშნა, აბსოლუტური მიხედულება, ისევე როგორც კორუფცია, ნიშნავს თავისუფლების დასასრულის დასაწყისს<sup>95</sup>.

სასამართლო გადაწყვეტილებებს საოჯახო სამართლის საქმეებში შესაძლოა ჰქონდეს უწყვეტი გავლენა, დადებითი ან უარყოფითი; სხვა სახის დავებისგან განსხვავებით, ურთიერთობა არ სრულდება მხარეებს შორის მაშინ, როდესაც სამართალწარმოება სრულდება, ჩვეულებრივ ეს

---

<sup>92</sup> იხ. გვერდი 14.

<sup>93</sup> აფონასინიუ., დიდიკინია., სამართლისფილოსოფია, თამთასენიაშვილის, თამარაზარქუას, თამარმამულაშვილის, ლინდაგიორგადისადალიანაგიორგადისთარგმანი, დიმიტრიგენავასრედაქტორობით, თბილისი, 2017, 67.

<sup>94</sup> ნებიერიძემ., გაბელაშვილი., სამოსამართლოთვითობა - სასამართლოსდამოუკიდებლობისგარანტი ?, სამეცნიეროჟურნ.„ახალგაზრდაადვოკატები“, თბილისი, 2018, 22.

<sup>95</sup> გოგიაშვილი., როგორავითარებენმოსამართლეებისამართალს, ჟურნ.ქართულისამართლისმიმოხილვა, ტომი -8, #1-2, 2005, 55.

გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე<sup>96</sup>, სწორედ ამიტომ, ამ საქმეების რთული და კომპლექსური ხასიათის გამო, საოჯახო სასამართლოს მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ დამატებითი ცოდნა, უნარები და თვისებები, რომლებიც არ მოეთხოვებათ მათ კოლეგებს, რომლებიც სხვა სახის დავებს განიხილავენ.<sup>97</sup>

---

<sup>96</sup> Hamilton V., Principles of U.S family law, College of William & Mary Law School, Faculty Publications, 2006, 3.

<sup>97</sup> იქვე, 4.

## IV.სასამართლოსმიერ Contra legem

### გამოყენებისპრაქტიკასაოჯახოდამემკვიდრეობითსამართ ლებრივდავაში

არსებული მოსაზრებით ოჯახური ცხოვრება არის უსასრულოდ ცვალებადი - ორი ოჯახიც კი არ არის ერთნაირი, სწორედ ამიტომ სასამართლო დისკრეცია არსებითია საოჯახო საკითხებში.<sup>98</sup> აღნიშნული დისკრეცია, საოჯახო დავების მნიშვნელობა, აქტუალობა და ნაირგვარობა მოსამართლეებს ხშირად კანონისა და სამართლის ფართო განმარტების ვალდებულებასაც კი აკისრებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო იაზრებს რა საკუთარ დანიშნულებას, ცდილობს, ეფექტური კონტროლი გაუწიოს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს და ჩამოაყალიბოს ქვეყნის რეალობაზე მორგებული პრაქტიკა, რომელიც შესატყვისი იქნება საერთაშორისო, თანამედროვე სტანდარტების. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურად იყენებს გადაწყვეტილების დასაბუთებისას საერთაშორისო სასამართლოების მიდგომებსა და მიგნებებს. უზენაესი სასამართლოს როლი არის ფასდაუდებელი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ამ თავში განხილული იქნება საქართველოში მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომლებიც თავისი ბუნებით არის, შეიძლება ითქვას, უნიკალური. ასევე, როგორ იყენებენ ქართველი მოსამართლეები მათ ხელთარსეულ ბერკეტს - ფართო მიხედულებასსაოჯახო საქმეებში და რა საფუძვლებით. დაბოლოს, რამდენად ხშირია ქართულ სამოქალაქო სამართალწარმოებაში Contra Legem განმარტების გამოყენების შემთხვევები.

---

<sup>98</sup>Standley K., Davies P., Family Law, Eighth edition, New York, 2013, 10.



## 1. მომეტებული საჯარო ინტერესი

საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივი დავების განხილვისას მოსამართლეს ხშირად უწევს მსჯელობა საკითხებზე, რომლითაც განსაკუთრებულადაა დაინტერესებული საზოგადოება. ასეთია მაგ. მემკვიდრეობით დავებში ქონების მიკუთვნება/ჩამორთმევის საქმეები, ოჯახის ინსტიტუტი და განქორწინება და ა.შ. მომეტებული საჯარო ინტერესი კი გამოწვეულია იმით, რომ მსგავს ურთიერთობებში შესაძლოა აღმოჩნდეს ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერ დროს.

ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ქორწინება ოჯახის საფუძველია; მასში, უპირველეს ყოვლისა, ასახვას პოულობს სულიერი, ზნეობრივი, ასევე, პირადი და ქონებრივი ურთიერთობების გაერთიანება.<sup>99</sup> ოჯახური ცხოვრების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლო დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება განქორწინების შესახებ დავებს, და არა მხოლოდ განქორწინების. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო მხარეებს სთავაზობს მორიგებას და ვადას კიდევ ერთხელ მოსაფიქრებლად.<sup>100</sup>

აღნიშნულ საქმეში დავის სწორად გადაწყვეტად მოკიდებული იყო სამართლებრივ შეფასებაზე, რომელიც უკავშირდებოდა მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას მამკვიდრებელთან ქორწინების ფაქტობრივად და არა იურიდიულად შეწყვეტის გამო. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის გამოყენებისათვის და შესაბამისად, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისათვის, ამავე ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, განმსაზღვრელია არა ის გარემოება, არსებობდა თუ არა ქალსა და მამაკაცს შორის რეგისტრირებული ქორწინება, არამედ გადაწყვეტი

<sup>99</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება №ას-187-174-2015.

<sup>100</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №ას-578-2019.

მნიშვნელობისაა კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორს ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად არარსებობაზე.<sup>101</sup>

სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად არსებითი იყო მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება. სასამართლოს მითითებით, „სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია“.<sup>102</sup>

სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლის მიზანს, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს იმგვარი სამართალურთიერთობის მოწესრიგება, რომლის დროსაც გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით, და რომლის დროსაც დასაზუსტებელია კანონით მემკვიდრეთა წრე.<sup>103</sup> იმ თვალსაზრისით, რომ, თუნდაც, იურიდიული მიზნებისათვის, მეუღლედ რეგისტრირებული პირის ხელში არ აღმოჩნდეს მამკვიდრებლის ის უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც მას გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის (სამკვიდრო მასა) და ამით გაუმართლებლად არ შეილახოს დანარჩენ მემკვიდრეთათვის კანონით მინიჭებული უფლებები.<sup>104</sup>

სამართლებრივი წესრიგის მიზანიც ხომ იმის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომ გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად არ შეილახოს ვინმეს უფლება და პირიქით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არ მოიპოვოს ვინმემ მატერიალური სიკეთე, ან რაიმე უფლება.<sup>105</sup>საქმეში

---

<sup>101</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება №ას-187-174-2015.

<sup>102</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება №ას-187-174-2015.

<sup>103</sup>იქვე.

<sup>104</sup>იქვე.

<sup>105</sup>იქვე.

არსებობდა უამრავი მოწმის ჩვენება და ფოტო სურათები, რომლითაც მეუღლეს სურდა, დაემტკიცებინა მამკვიდრებელთან მისი ოჯახური ცხოვრების არსებობის ფაქტი. თუმცა, სასამართლომ შეუბრუნა მტკიცების ტვირთი და აღნიშნა, რომ მეგობრების წრეში დროის ერთად გატარება არ ადასტურებს საოჯახო მეურნეობის ერთად გაძღვლის და ოჯახური ურთიერთობების არსებობის ფაქტს, რის გამოც ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება<sup>106</sup>, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

მხარე ამტკიცებდა, რომ მიუხედავად ფაქტისა რომ მეუღლესთან თანაცხოვრება 11 წელია შეწყდა, ქორწინებიდან მოკლე დროში, ისინი ფაქტობრივად მეუღლეები იყვნენ, რაც ალოგიკურია. არაკეთილსინდისიერი მოქმედებით, ის ცდილობდა მიეღო სარგებელი, რომელიც კანონით არ ეკუთვნოდა. საოჯახო საქმეები მოითხოვს, რომ მოსამართლე ყველა დეტალს დაუკვირდეს და შეაფასოს, ისეთსაც, რომელიც შეიძლება უმნიშვნელოდ ჩანდეს. გადაწყვეტილებაში ყოველთვის ჩანს მოსამართლეთა სულისკვეთება. საოჯახო საქმეებში მოსამართლეები ამკვიდრებენ კეთილსინდისიერების იმაზე გაცილებით მაღალ სტანდარტს, რაც მოითხოვება სხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ასევე მემკვიდრეობით სამართალში არის სამკვიდროს მიღების ფორმა - ფაქტობრივად ფლობა.<sup>107</sup> პრობლემას წარმოადგენს ნივთის ფლობის დადასტურების ფაქტის სირთულე. საქმის გადაწყვეტისას მოსამართლეს ძირითადად უწევს დაყრდნობა შინაგან რწმენაზე და ფაქტების შეფასების დაგროვილ გამოცდილებაზე. აღნიშნულ საკითხზე არსებობს მნიშვნელოვანი განმარტება. საქმეში მოსარჩელე ნივთის ფლობას მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით ადასტურებდა.

სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 105-ე მუხლზე და განმარტა, რომ მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი თვალსაზრისით, მათი სარწმუნოების და არასარწმუნოების თვალსაზრისით და იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე

<sup>106</sup> იქვე.

<sup>107</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421- მუხლის მეორე ნაწილი.

რომელ ფაქტს ადასტურებს ეს მტკიცებულება.<sup>108</sup> მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენით არ ნიშნავს სრულიად უანგარიშგებო დასკვნების გაკეთების უფლებას. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებაზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები – სარწმუნოდ.<sup>109</sup> გარდა ამისა, განმარტა, რომ „მტკიცებულებათა შეფასება ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით: 1. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით; 2. მტკიცებულებები ფასდება ყოველმხრივ, სრულად (სრული მოცულობით) და მიუკერძოებლად (ობიექტურად); 3. მტკიცებულებათა შეფასებაში სასამართლო თავისუფლება, მისი დამოუკიდებლობა ფაქტისა და უფლების შესახებ საკითხის გადაწყვეტაში უზრუნველყოფილია შემდეგი პრინციპით: არავითარ მტკიცებულებას სასამართლოსათვის არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა’.<sup>110</sup>

პალატამ განმარტა, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებისათვის აუცილებელი არ არის მუდმივად სამკვიდროში შემავალი მთელი ქონების პყრობა, ან ფაქტობრივი ფლობა, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გარკვევა, თუ მემკვიდრეები რამდენად თავისად მიიჩნევდნენ დანაშთ ქონებას და რა ფაქტობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ აღნიშნული ქონების მიმართ.<sup>111</sup> სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მიერ სადავო სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების დასადასტურებლად მითითებული მტკიცებულება – მოწმეთა ჩვენებები, რომელთა თანახმად დადასტურდა სახლის გარშემო კონკრეტული მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის მხრიდან ფაქტობრივი ბატონობისა და ფლობის ნება და ფაქტი, საპირისპიროდ, კიუსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის მსჯელობა მისი ოჯახის წევრების განმარტებებთან დაკავშირებით, რადგან მოპასუხესთან მცხოვრები დედისა და ძმისშვილის ჩვენებები მიუკერძოებლად და

<sup>108</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება №ას-33-29-2017.

<sup>109</sup> იქვე.

<sup>110</sup> იქვე.

<sup>111</sup> იქვე.

ობიექტურად ვერ ჩაითვალებოდა.<sup>112</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სახის დავებში დიდ როლს თამაშობს - ინტუიცია, ბევრი საოჯახო სამართლის მოსამართლე ინტუიციურად ხვდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მკაფიოდ შეიძლება არც იყოს გამოხატული.<sup>113</sup> ერთი საკითხია მშრალად, მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებას წაკითხვა დამეორე კი - ცოცხალ პროცესზე მოწმეთა ჩვენებებისა და მხარეების მოსმენა. აშკარაა, რომ აღნიშნულ საქმეში თანაბარი იყო საქმის მოგების ან წაგების შანსი, თუმცა მოსამართლე, დაეყრდნო რა შინაგან რწმენას, მტკიცების ტვირთის სამართლიანი გადაწყვეტილების გზით, ერთმანეთს დაუპირისპირა, ერთი მხრივ, სუბიექტური და, მეორე მხრივ, ობიექტური მოწმეების ჩვენებები და მიიღო სამართლიანი და, ამავდროულად, კანონიერი გადაწყვეტილება.

ზემოთ აღნიშნულ დავებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გარდა ნორმის დისპოზიციურობის, ინკვიზიციისა და ფართო მიხედულებისა, მოსამართლეს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების კიდევ ერთი ბერკეტი აქვს, რომელსაც მტკიცების ტვირთის განაწილება ჰქვია. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების სხვადასხვა მეთოდები მოსამართლეს ეხმარება, გადაწყვეტილებაში დაეყრდნოს ისეთ ფაქტებს, რომელიც მოქმედებს მათ შინაგან მრწამსზე, თუმცა სხვა შემთხვევაში ობიექტურად ვერ გამოიყენებდა.

## 2. დეფაქტოინკვიზიციურობა

გაბატონებული შეხედულების თანახმად, თუ კანონის ინტერპრეტაცია სცილდება გრამატიკული ინტერპრეტაციის ფარგლებს და გადადის ლოგიკური ინტერპრეტაციის სფეროში, მაშინ ხშირად საქმე გვაქვს ახალი ნორმის შექმნასთან; რეალურად ეს არის სამართალშემოქმედება.<sup>114</sup> საოჯახო და მემკვიდრეობითსამართლებრივ დავებში მოსამართლე ხშირად არის

---

<sup>112</sup> იქვე.

<sup>113</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება №ას-33-29-2017.

<sup>114</sup> ჟანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 66.

კრიტიკულ სიტუაციებში, როდესაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამო დგება ცდუნების წინაშე, განმარტოს ნორმა Contra Legem. პრაქტიკის მიხედვით, ეს ძირითადად ის შემთხვევებია, როდესაც მოსამართლე ეჩვენება მეტად ამორალურ ფაქტებს, რაც მის შინაგან, ემოციურ ფონს ააქტიურებს, ან, როდესაც შედეგი დგება სრულიად უსამართლო.

2010 წელს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა დაუქორწინებელი მშობლებისგან წარმოშობილი ბავშვის მამობის დადგენას და აღნიშნა, რომ ეს საქმე შესაბამისობაში იყო იმ დროს არსებულ პრაქტიკასთან.<sup>115</sup> კერძოდ, სასამართლოს მიდგომით მოპასუხემ სასამართლოს წინაშე წერილობით უარი განაცხადა რა გენეტიკური ექსპერტიზის ბიუროში გამოცხადებაზე და ექსპერტიზის ჩატარებაზე, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე არის ბავშვის მამა.<sup>116</sup>

სასამართლოს მსჯელობით, სამოქალაქო კოდექსის 169-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულია საპროცესო მოქმედების მხარის მიერ შეუსრულებლობის შედეგი. აღნიშნული ნორმით, თუ მხარე არასაკატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს, ან სხვაგვარად ხელსუშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად.<sup>117</sup>

სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მხარეს არ აიძულებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას და, შესაბამისად, არ ადგენს მის ვალდებულებებს, მაგრამ ამავდროულად, იმპერატიულად ადგენს საპროცესო მოქმედებათა მხარის ინტერესებისათვისვე შესრულების აუცილებლობას, რისი განუხორციელებლობა ადეკვატურად იწვევს მხარისთვის უარყოფით

<sup>115</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება №ას-41-40-2010.

<sup>116</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება №ას-41-40-2010.

<sup>117</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 169- ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

შედეგს.<sup>118</sup>

სასამართლომ აღნიშნა, რომ „ყველა სამოქალაქო ურთიერთობა დაკავშირებულია გარკვეულ შედეგებთან და ასეთი ურთიერთობების დამყარება, როგორც წესი, მხარეთა თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. ამავდროულად, მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ამ ურთიერთობათა მოსალოდნელი თანმდევი ფაქტობრივი და, შესაბამისად, იურიდიული შედეგებიც. ქალისა და მამამაკაცის ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვის უფლებები იმავე ზომით უნდა იქნეს დაცული, როგორც კანონიერ ქორწინებაში მყოფი მშობლების ბავშვების უფლებებია დაცული“.<sup>119</sup> სასამართლოს შეფასებით, „სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილით უპირველესად დაცულია დაუქორწინებელი მშობლებისგან დაბადებული ბავშვები, და არა მშობლები. შესაბამისად, ამ ნორმის იმგვარად შეფასება, რომ პირის ბავშვის მამად დადგენა დამოკიდებულია მხოლოდ ამავე ნორმით ჩამოთვლილი გარემოებების არსებობაზე (რომლებიც უფრო მეტად უთითებენ დედისა და მოპასუხის ურთიერთდამოკიდებულებაზე), დასაბუთებას მოკლებულია“.<sup>120</sup>

შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო დავაში არსებულ სამართალურ ურთიერთობას მიუდგა როგორც რიგით, კერძოსამართლებრივ ურთიერთობას და არა საოჯაროსამართლებრივს, რომლის ფაქტობრივი შედეგები შეიძლება უარყოფითად აისახოს მხარეთა ცხოვრებაზე. სასამართლო უხეშად ჩაერია მამად დადგენილი პირის პირად და საოჯახო ურთიერთობაში, რაც გაუმართლებელია. საოჯახო დავები მოსამართლისგან მეტად ჩაღრმავებასა და კვლევას მოითხოვს და არა ზედაპირულ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნორმას მიეცა საპირისპირო მნიშვნელობა. ნორმის მოთხოვნა იყო მამობის ფაქტის უპირობო დადგენა, იმ შემთხვევაში, როცა გენეტიკური ანალიზი იყო გამორცხული<sup>121</sup>, მოსამართლემ კი პირიქით, ძირითადი მსჯელობა სწორედ იმ

<sup>118</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება №ას-41-40-2010.

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> იქვე.

<sup>121</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილი.

გარემოებაზეააგო, რომ მოპასუხემ უარი თქვა გენეტიკური ანალიზის ჩატარებაზე. მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილება იყო ერთგვარად მოპასუხის „დასჯა“.

ანალოგიური შემთხვევა განმეორდა 2017 წელს. თუმცა, ამჯერად უკვე საქმე ეხებოდა ქორწინების პერიოდში დაბადებული ბავშვის მამობას და ამჯერადაც, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა დაესკვნა გაიზიარა საპელაციოს სასამართლომაც, მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მამამუარი განაცხადა გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე, არსებობდა რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში დაბადებული ბავშვის სააქტო ჩანაწერში მამის რეგისტრაციის გაუქმებისა და ბავშვისათვის გვარის შეცვლის წინაპირობა.<sup>122</sup> მათივე განმარტებით, რადგან აცარასრულწლოვანს არ ჰქონდა ფიზიკური კონტაქტი მოპასუხესთან და არ იყო შეჩვეული მას, მამა-

შვილის სამომავლო ურთიერთობა ბავშვის ინტერესებში არ შედიოდა; თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ მოპასუხე არ წარმოადგენდა ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს, გამორიცხავდა მასთან ურთიერთობის წესის დადგენას.<sup>123</sup>

რაც შეეხება საკასაციოს სასამართლოს მსჯელობას, სასამართლოდ ფართოდ იმსჯელა ბავშვის საუკეთესო ინტერესის რაობაზე და აღნიშნა, რომ „ბავშვის საუკეთესო ინტერესებს წარმოადგენს მათ შორის მისი იოჯახურ გარემოში აღზრდის შესაძლებლობა, სადაც ის იქნება ინტეგრირებული, თუნდაც განქორწინებული მშობლებთან დასხვა ახლო ნათესავებთან, რადგან აცმას ინდივიდუალურად დაშემღების და გვარად შეექმნება კეთილსაიმედო გარემოსაზოგადოების ღირსებულწევრად, როგორც მორალური, ისე ფიზიკური თვალსაზრისით აღზრდის მიზნით.<sup>124</sup> ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესად არ შეიძლება განხილული იქნას მდგომარეობა, როდესაც დედამოითხოვს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის რეგისტრაციის გაუქმებას იმიგვარად, რომ ბავშვის მამის ვინაობა არ იქნას ფიქსირებული და უფრო მეტიც, აცხადებს, რომ კანონიერი მამა არ წარმოადგენს ბიოლოგიურ მშობელს, ხოლო სასამართლოს არ წარმოუ

<sup>122</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ას-85-81-2017.

<sup>123</sup> იქვე.

<sup>124</sup> იქვე.



დგენსწონადფაქტებსადაარგუმენტებსიმისთაობაზე,რომარასრულწლოვანიად აპტირებულიაბიოლოგიურიიმამისოჯახურგარემოში,იზრდებამასთანერთადდ აგააჩნია „ოჯახურიცხოვრების“დაცვისინტერესიმასთან. ამდენად,პალატამ დაასკვნა,რომამგვარიმიდგომიარცავსარასრულწლოვნისსაუკეთესონტერესებს“. <sup>125</sup>

სასამართლომ მოიშველია ადამიანისუფლებათაევროპულიკონვენციისმე-  
8მუხლი და აღნიშნა,რომ იგი ადგენსრაპირადიდაოჯახურიცხოვრებისპატივისცემისუფლებას,პრეცედენტულისამართლისმიმოხილვაგანსაზღვრავს,რომკანონიერიდაბიოლოგიურიმშობლისსტატუსისსამართლებრივიდეკლარირებისდაამგზოთდაცულიზემოხსენებულისიკეთებისგამიჯვნისთაობაზეარარსებობსერთიანიევროპულიკონსენსუსი,რისგამოც,კონვენციისწევრისახელმწიფოებისათვისდადგენილიამიხედულებისშედარებითფართოზღვარი,თუმცა,ნებისმიერიქმედებაუნდაგამომდინარეობდესნორმისტელეოლოგიურიგანმარტებიდანდაარუნდაარღვევდესმისნამდვილარსს. <sup>126</sup>ნორმისმე-2

ნაწილითდადგენილიასახელმწიფოსნეგატიურივალდებულება,დაცულისიკეთისუზრუნველყოფისხელშეწყობისთვალსაზრისითდადასაშვებია მხოლოდკვალიფიციურიჩარევა - კანონითპირდაპირგათვალისწინებულშემთხვევაში. <sup>127</sup>

საკასაციოპალატამ მიიჩნია,რომ,ქვემდგომისასამართლოებისმხრიდანმამობისრეგისტრაციისგაუქმებაწარმოადგენსმოპასუხისოჯახურიცხოვრებაშიჩარევას,რომლისგამართლება არშეიძლება მოხდესთუნდაციმით,რომიგიარიტარებსგენეტიკურკვლევას,რადგანაც,მეორემხრივ,ამგარემოებასვერგადაწონისმოსარჩელის „პირადიცხოვრების“პატივისცემისუფლება,რომელიცარასახლებსარასრულწლოვნისბიოლოგიურმშობელსდარაცუფრომთავარია,არიკვეთებაარასრულწლოვნისშესაძლებლობა,იზრდებოდესოჯახურგარემოში,რომელიც,როგორცსააპელაციოპალატამდაადგინა,არემყარებაავშვისადაკანონიერიიმამისმამა-

<sup>125</sup> იქვე.

<sup>126</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ას-85-81-2017.

<sup>127</sup> იქვე.

შვილურმიჯაჭვულობას, თუმცა, სასამართლოს მხრიდან შეფასება არმისცემია იმ გარემოებას, თურატომ არასებობს მიჯაჭვულობა მამა-შვილს შორის“.<sup>128</sup>

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არასრულწლოვნის კანონიერი მამის „ოჯახური ცხოვრების“ უფლებაში ჩარევა ქვემდგომი სასამართლოებმა ისე განახორციელეს, რომ შეეგებებულ მოსარჩელეს არ გაუქარწყლებია სამოქალაქო კოდექსის 1198-ემუხლით დადგენილი პრეზუმცია ქორწინებაში დაბადებული ბავშვის მამობის თაობაზე, მას არ მიუთითებია ბავშვის ბიოლოგიური მშობლის ვინაობა და არ წმუნოდ არ დაუდასტურებია ბავშვს ადა ბიოლოგიურ მამას შორის მჭიდრო ემოციური კავშირის არსებობის ფაქტი.<sup>129</sup> საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, „ამგვარი მიდგომა არ გამოდინარეობს არასრულწლოვნის ოჯახურ გარემოში აღზრდის ადა ორივე მშობელთან ურთიერთობის ქონის შესაძლებლობიდან.

მი თუ ფროგასათვალისწინებელია, რომ ბავშვს ადა მოპასუხეს შორის ურთიერთობის ნეგატიური ფაქტორების აქმის მასალებით დადგენილი არ არის, ხოლო საკასაციო პალატა არ უარყოფს მცირე წლოვნის სამომავლო შესაძლებლობას წარმოშობის თვალსაზრისით თვითგამორკვევის უფლებაზე.

ამ გარემოებათა ანალიზის შედეგად პალატამ დაასკვნა, რომ მოპასუხის ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევა გაუმართლებლად მოხდა“.<sup>130</sup>

ევროსასამართლოს ერთ-ერთ საქმეში, ბავშვი დაბადებული იყო ქორწინების პერიოდში, თუმცა შემდგომ გაირკვა, რომ მამა არ იყო ბიოლოგიური მშობელი. აღნიშნულ შემთხვევაშიც კი ბავშვის ინტერესებიდან, რადგან დადგინდა ბავშვთა და მომჩივანს შორის მჭიდრო ფსიქოლოგიური კავშირი, და მამის ოჯახური ცხოვრების უფლებიდან გამომდინარე, სასამართლომ არათუ არ ჩამოართვა მამობა განმცხადებელს, არამედ პირიქით, სავალდებულოდ ჩათვალა მათ შორის ურთიერთობის შენარჩუნება და გაგრძელება.<sup>131</sup>

მოცემული გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> იქვე.

<sup>131</sup> Monory v. Romania and Hungary, [ECtHR], App. No. 71099, § 70, 05 April 2015.

სასამართლო პრაქტიკა სწორი მიმართულებით ვითარდება. უპირველესად, საქმიდან ჩანს უზენაესი სასამართლოს მიერ მაღალი პასუხისმგებლობის გამოვლენა საოჯახო დავების მიმართ. სასამართლომ სწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი და არც კანონმდებლის მიერ დადგენილ მამობის პრეზუმფციას დაუკარგა აზრი და მნიშვნელობა, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, მოსამართლის მხრიდან სურვილს გამოიყენოს მთელი მისხელთ არსებული ძალაუფლება, ხშირად იწვევს მხარის მიერ ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც მორალურად სრულიად გასაკიცხია. შემდეგი საქმე ეხება მემკვიდრის მიერ მამის მკვლელობის დაფარვას, რომელიც ჩაიდინა მისმა მეუღლემ. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „მემკვიდრეობის უფლებას კარგავენ მემკვიდრეები, რომელთა ქცევა არ შეესაბამება მორალურ სტანდარტებს, რომლებიც არღვევენ პრინციპს - კეთილსინდისიერად განახორციელონ უფლებები და მოვალეობები. ასევე აღნიშნა, რომ კანონმდებელი ერთ შემთხვევაში, თავად მამკვიდრებელს ანიჭებს უფლებას, მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე, ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული, მიუთითოს ამის მოტივზე“.<sup>132</sup> სააპელაციო სასამართლომ დამატებით გამოიყენა ანალოგია ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, კერძოდ - ჩუქების გაუქმების საფუძვლებზე<sup>133</sup>. პალატის მოსაზრებით, „მითითებული ნორმების სისტემური ანალიზი იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ კანონმდებლობა როგორც დასაჩუქრებულს, ასევე მემკვიდრეს უდგენს ქცევის მაღალ სტანდარტს, რომელთა განუხრელი დაცვის შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ კანონით გათვალისწინებული იმ უფლებით, რასაც სამემკვიდრეო სამართლისა და ჩუქების მომწესრიგებელი ნორმები ადგენს“.<sup>134</sup> ამ უფლების მქონე პირის მიერ კეთილსინდისიერი ქცევის მოვალეობის დარღვევისას კი ადგენს სანქციებს, როგორცაა სამემკვიდრეო სამართალში -

<sup>132</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1101-1021-2017.

<sup>133</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>134</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1101-1021-2017.

მემკვიდრეობის ჩამორთმევა, ჩუქების სამართლებრივ ურთიერთობაში - ნაჩუქარის ქონების დაბრუნება.<sup>135</sup>

სასამართლოსმითითებით, „ზოგადად, სამართლის სისტემები მოიცავენ წესებსა და პრინციპებს - მორალურ მტკიცებებს. მოსამართლეებმა უნდა განიხილონ სხვადასხვა შეხედულებები და მიიღონ ის გადაწყვეტილება, რომელიც სამართალს აქცევს, რაც შეიძლება, მორალურად საუკეთესოდ. ობიექტური სამართალი, რომელიც დავას არ იწვევს, არის მხოლოდ კანონმდებლებისა და მოსამართლეების მიერ მიღებული წარსულის ოფიციალური გადაწყვეტილებების კრებული. მორალური შეფასება არის სამართლის განუყოფელი ნაწილი“.<sup>136</sup> სწორედ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ვალდებული, მოსარჩელის ქმედება პოზიტიური სამართლის გვერდიგვერდ ბუნებითი სამართლის გათვალისწინებითაც შეაფასოს, რომლიდან გამომდინარეც, ნებისმიერი ქცევა, რომელიც ლახავს, ან არღვევს ადამიანის თანდაყოლილ ბუნებით უფლებება-მოვალეობებს, მორალურად გაუმართლებელ „დანაშაულად“ ითვლება. ეს ისეთი უფლება-მოვალეობებია, რაც ადამიანს თავისთავად ეკუთვნის, რომელთა დაცვასაც გვაკისრებს მისი ცოცხალ, გონიერ არსებად ყოფნა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მიდგომა საუკუნეთა წინ ჩაისახა და დამკვიდრდა, პალატის მოსაზრებით, იგი დღევანდელი რეალობისთვისაც ცოცხალია.<sup>137</sup> „ადამიანის გონი, როგორც მოაზროვნე სუბსტანცია, პოზიტიური სამართლის მიღმა ასევე შეიმეცნებს იმ ფუნდამენტურ, თანდაყოლილ ვალდებულებებსა თუ უფლებებს, რაც ადამიანად ყოფნას განაპირობებს და ამართლებს. მოცემულ შემთხვევაში, ამ პრინციპების საწინააღმდეგოდ, მოსარჩელემ მისი ღვიძლი მშობლის, მამის წინაშე ჩაიდინა სრულიად გაუმართლებელი საქციელი. მისი მხრიდან ესოდენ დაბალი ზნეობრივი სტანდარტი გამოვლინდა სასტიკად მოკლული მამის ხსოვნისადმი სრულ უპატივცემულობაში“.<sup>138</sup> „ასეთ დროს, შვილის სრულიად ბუნებრივი ქცევა უნდა ყოფილიყო ყველა ის მოქმედება, რაც მამის მოკვლის

<sup>135</sup> იქვე.

<sup>136</sup> იქვე.

<sup>137</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1101-1021-2017.

<sup>138</sup> იქვე.

გამო მართლმსაჯულების აღსრულებას - მკვლელის დასჯას - შეუწყობდა ხელს და არა - პირიქით. მართალია, ამის გამო, მოსარჩელე დაისაჯა სისხლის სამართლის წესით, მაგრამ ეს ვერ იქნება სამოქალაქო კუთხით მისი ამორალური ქმედების შეფასების საპირწონე არგუმენტი და იმის წინაპირობა, სასტიკად მოკლული მამის ქონება, მკვლელისთვის ხელის დაფარების, მისი არგატქმის პირობებში, დაიმკვიდროს შვილმა“.<sup>139</sup>

პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 1310-ე მუხლის ნორმის დისპოზიცია იძლევა ნორმის ფართოდ განმარტების შესაძლებლობას. კერძოდ, აღნიშნული ნორმა მიუთითებს, რომ „განზრახ მოქმედება მემკვიდრედ მოწვევის მიზნით უნდა იყოს ჩადენილი და არა ამ მიზნის გარეშე. პალატას მიაჩნია, რომ, რადგან მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი ვრცელდება უფრო მსუბუქ შემადგენლობაზე, მით უფრო, შესაბამისი შედეგი უნდა დადგეს იმ ვითარებაშიც, როდესაც სახეზეა უფრო მძიმე შემთხვევა, როგორცაა განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენა - მშობლის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის დაფარვა“.<sup>140</sup> გარდა იმისა, რომ ასეთი ქცევა კანონით დასჯადი ქმედებაა, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება მორალური ქცევის სტანდარტს. შვილების მოვალეობაა, იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარნენ მათ, არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.<sup>141</sup>

ზემოთ მოხმობილი ნორმების ანალიზის საფუძველზე პალატამ დაასკვნა, რომ „ის, ვინც არ გაამართლებს მშობლის მოლოდინს მასთან მიმართებით კეთილსინდისიერ ქცევასთან დაკავშირებით, კარგავს მშობლისაგან ქონებრივი სიკეთით მიღების შესაძლებლობას. კონკრეტულ საქმეზე განაჩენით დადგენილი გარემოებები იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ დაირღვა მშობელთან მიმართებით შვილის კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტი, შესაბამისად, მემკვიდრეს უნდა ჩამოერთვას მემკვიდრეობის ქონების საკუთრებაში მიღებისა და ამ სიკეთით სარგებლობის უფლება. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 1310-ე მუხლით

<sup>139</sup> იქვე.

<sup>140</sup> იქვე.

<sup>141</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი.

გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი უნდა გავრცელდეს კონკრეტულ გარემოებებზეც“.<sup>142</sup>

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააკელაციო სასამართლოს მსჯელობა და გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი. კერძოდ, მოიშველია ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატის მიერ განხორციელებული მითითებები, რომელიც კანონის, მართალია, ფართო ინტერპრეტაციის, თუმცა, იმავდროულად, სამართლებრივი ერთგვაროვნების მიზანს ემსახურება: „საკანონმდებლო მოწესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებლს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები, ერთის მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მიზნის მისაღწევადგამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში“<sup>143</sup>. „კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ“.<sup>144</sup>

სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ასევე აღნიშნა, რომ „სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი

<sup>142</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1101-1021-2017.

<sup>143</sup> იქვე.

<sup>144</sup> იქვე.

დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის გავრცობის საჭიროების შემოწმებას. გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი, ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში“.<sup>145</sup>

მართალია საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება, თუმცა მემკვიდრეს მაინც არ მიეცა უფლება მიეღო სამკვიდროს საკუთარი წილი - სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების გამო. სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის ნორმის Contra legem განმარტების შედეგი. თუმცა, პალატა არ დასჯერდა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო განმარტების გაკეთებას და გამოიყენა კანონის ანალოგია ჩუქების ხელშეკრულებასთან, ასევე დაიხმარა ბუნებითი სამართალი და მორალური პრინციპები. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მორალურად სრულიად გამართლებული გადაწყვეტილების მიღებისა, სააპელაციო სასამართლო გასცდა ყოველგვარ საზღვარს და მიითვისა კანონმდებლის ფუნქცია, რაც არც საჭირო იყო და არც აუცილებელი. კერძოდ, სასამართლოს შეეძლო, დარჩენილიყო სამართლებრივ ჩარჩოებში და მხოლოდ კანონიერი შესაძლებლობა გამოეყენებინა „უღირსი“ შვილის სამკვიდროს გარეშე დატოვების, როგორც მოიქცა უზენაესი სასამართლო.

გადაწყვეტილების წაკითხვისას შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსამართლეებმა ვერ შეძლეს, მოეთოკათ გრძნობები და ემოციები. საშიშია მოსამართლე, რომელიც სხვადასხვა გავლენების ქვეშაა და არ შეუძლია

---

<sup>145</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №ას-178-167-2017.

დარჩეს თუნდაც უბრალოდ - სამართლის ფარგლებში, რომ არაფერი ითქვას კონკრეტულ ნორმაზე, რადგან მორალური არგუმენტები ძირითადად ეყრდნობიან პრინციპებს, რომელთა გამოყენების სპექტრი დაუზუსტებელი და სადავოა, ხოლო იურიდიული არგუმენტები იყენებენ სპეციფიკურ წესებს, რომლის ფარგლები შემოსაზღვრულია.<sup>146</sup> საშიშროება კი მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნულმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს როგორც სასამართლო პრაქტიკაზე, ისე სამართლის განსაზღვრულობის პრინციპზე, რომელიც საერთაშორისოდაა აღიარებული.

### 3. მოსამართლის თვითინიციატივა

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რადგან მოსამართლე უამრავ განსხვავებულ გარემოებას აწყდება, ხშირად არ არის საკმარისი მხოლოდ კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება, რადგან არასრულყოფილი შედეგი დგება. ამის გამო, როგორც პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, მოსამართლეები არ ერიდებიან თვითინიციატივების გამოჩენას. აღნიშნული კი ძირითადად ეხება ბავშვთა უფლებების შესახებ დავებს. სრულიად უმაღლეს ხარისხშია აყვანილი ბავშვთა უფლებები და ინტერესები როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე, შესაბამისად, საქართველოშიც. სასამართლო აქტიურად იყენებს თავის შესაძლებლობებს, რათა მაქსიმალურად ბავშვზე ორიენტირებული და საუკეთესო ინტერესების დამცველი გადაწყვეტილება მიიღოს.

უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ოჯახის წევრების მხრიდან ბავშვზე ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ „სსკ-ის 1225-ე მუხლისმიზანი არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესების დაცვა, გამოდის ზრუნვის მოვალეობის მქონე პირთა ნების თავისუფალი გამოვლენის სფეროდან და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აყვანილია კანონისმიერი

---

<sup>146</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1101-1021-2017.



ვალდებულების რანგში. ამას გარდა, საგულისხმოა ისიც, რომ სსკ-ი, როგორც რომანულ-გერმანული სამართლის ნაწილი, ირჩევს ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას და, ამდენად, სამართლის ნორმებში ყოველი კონკრეტული სიტუაცია დეკლარირებული ვერ იქნება. ამ მიმართებით, კი ყურადსაღებია და ზოგადად, სამართლის ნორმის და ამკონკრეტულ შემთხვევაში, სსკ-ის განმარტების მეთოდები (სისტემური, ისტორიული, ლოგიკური, პრეცედენტული და ა.შ). საკასაციო პალატა სსკ-ის 1225-ე მუხლის სწორი, თანმიმდევრული, დასაბუთებული და ლოგიკური განმარტების შედეგად, ასკვნის, რომ მისი რეგულირების მიზანი მხოლოდ არასრულწლოვანისთვის მატერიალური საზრდოს დანიშვნა არაა, არამედ მისი მოქმედების მასშტაბი უფრო ფართოა და მოიცავს არასრულწლოვანის უზრუნველყოფას საცხოვრებლით, მაშინ როდესაც, არასრულწლოვანს ამ სიკეთის მიღება თავის მშობლებისაგან არ შეუძლია“.<sup>147</sup>

მოცემულ საქმეში დავის ერთ მხარეზე არსებობდამოსარჩელის საკუთრების დაცვის ლეგიტიმური ინტერესი, ხოლოამუფლების საპირწონედ წარმოდგენილია მესაკუთრის არასრულწლოვანი შვილიშვილის მწვავე საჭიროება საცხოვრებელ ბინაზე(თავშესაფარზე), სადაც იგი შეძლებს უჯახურ გარემოში - დედასთანერთად ცხოვრებასა და აღზრდას.<sup>148</sup>

საკასაციო პალატამაღნიშნა, რომ „არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას ამოსავალიწერტილი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები, მოზარდის ფიზიკური, სოციალური, გონებრივი, ემოციური და სულიერი მოთხოვნებიდან გამომდინარე. ბავშვის აღზრდის, მისიგანვითარებისა და საზოგადოებაში წარმატებული ადაპტაციისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ბავშვის ყოველდღიური საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ მისი უზრუნველყოფა იმ სიკეთით, რომელიც ბავშვს მისცემს ემოციური და სულიერი სამყაროს განვითარების შესაძლებლობას“.<sup>149</sup>

<sup>147</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება №ას-454-426-2017.

<sup>148</sup> იქვე.

<sup>149</sup> იქვე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ „კონკრეტულ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ამ ვითარებასა და ამ დროს, როდესაც ბავშვი არასრულწლოვანია, არსებობს საკუთრების კონსტიტუციური უფლების დროებითი შეზღუდვის მწვავე სოციალური საჭიროება, ნაკარნახევი მესაკუთრის შვილიშვილის ობიექტური აუცილებლობით. მაშასადამე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მესაკუთრის სარჩელი უკანონო მფლობელობიდან სადავო ბინის გამოთხოვის შესახებ, არის ლეგიტიმური და წარმოადგენს საკუთრების უფლებაში ჩარევის და პროპორციულ, გონივრულ და აუცილებელ ზომას“.<sup>150</sup>

სააპელაციო სასამართლომ დავის სამართლებრივი მოწესრიგებისას მიუთითა „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტზე და აღნიშნა, რომ კონვენცია წევრი ქვეყნებისათვის სამი განსხვავებული სახის ვალდებულებას ადგენს: (ა) თუ გადაწყვეტილების მიღებისას ერთმანეთს სხვადასხვა ინტერესები უპირისპირდება, ბავშვის ფუნდამენტური უფლებათა, რომ გარანტირებულად და უპირატესად მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და გათვალისწინებულ იქნეს; (ბ) თუ სამართლებრივ ნორმას ერთზე მეტი განმარტება შეიძლება მიეცეს, არჩეულ უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე ეფექტურად ემსახურება; (გ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს; გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეფასდეს ბავშვის ინტერესებზე ამ გადაწყვეტილების შესაძლო ზეგავლენის შედეგები და გადაწყვეტილებაში პირდაპირ უნდა აისახოს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უპირატესად შეფასდა და მხედველობაში იქნა მიღებული.<sup>151</sup>

სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ არასრულწლოვანი ბავშვის მშობლებს საკუთრებაში უძრავი ქონება არ გააჩნიათ და იგი, დედასთან ერთად, ბებიის კუთვნილ ბინაში ცხოვრობს, ამავე დროს

<sup>150</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება №ას-454-426-2017.

<sup>151</sup> იქვე.

მოსარჩელის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მოპასუხის გამოსახლება უკანონო მფლობელობიდან გამოიწვევს მისიმცირეწლოვანი შვილის გამოსახლებასაც, მიუხედავად იმისა, რომსასარჩელო განცხადებით მოთხოვნა ბავშვისმიმართ არ დაუყენებიათ.<sup>152</sup> ამგვარ მოცემულობაში, არასრულწლოვანის უფლებასთან მიმართებით, რომ ბების მიერ უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებლით, არ იკვეთება მესაკუთრის უპირატესი ინტერესი რძლის და არასრულწლოვანი შვილიშვილის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვაში; მითუმეტეს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემური ანალიზის მიხედვით, შვილიშვილზე ზრუნვის ვალდებულება პაპა-ბების მოვალეობაცაა.<sup>153</sup>

შესაბამისად, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ გამოიკვეთა მესაკუთრის უპირატესი ინტერესი მოპასუხის დამასთან მცხოვრებ მცირეწლოვანის ინტერესთან მიმართებით, მოსარჩელე არამართლზომიერად იყენებდა მესაკუთრის უფლებებს და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებლად შეფასდა.<sup>154</sup>

მოცემულ საქმეში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა სასამართლოების მიდგომა საქმეებთან, სადაც ბავშვის უკიდურესად აუცილებელ საჭიროებებსექმნება საფრთხე. საქმე არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რატომაა საჭირო მოსამართლის დისკრეცია და ინკვიზიციურობა საოჯახო დავებში. ავი ბებისგან ბავშვის დასაცავად სასამართლო არ შეუშინდა გაბედული ნაბიჯის გადადგმას და კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. სასამართლოს რომ არ გამოეჩინა თვითინიციატივა და საქმე სხვა სამართლებრივი ურთიერთობის ქვეშ არ მოექცია, ბავშვის გამოსახლება გარდაუვალი იქნებოდა.

ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის მიზნით, უზენაესმა სასამართლომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა და დაადგინა ახალი პრაქტიკა, რომელიც დღემდე მოქმედებს. საქმე ეხება მშობლების მიერ არასრულწლოვანი შვილის საკუთრების განკარგვას არაკეთილსინდისიერად. სასამართლომ აღნიშნა, რომ „არასრულწლოვნის მშობლებმა დაარღვიეს

---

<sup>152</sup> იქვე.

<sup>153</sup> იქვე.

<sup>154</sup> იქვე.

შვილის ქონებრივი უფლებები. მათი უფლება ამ ნაწილში ქონების მართვითა და გამოყენებით შემოიფარგლებოდა, სინამდვილეში კი, მათ იპოთეკით დატვირთეს ქონება, რამაც განაპირობა შემდგომში მისი რეალიზაცია და მასზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა, ანუ გამოვლინდება ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს შორის, რისთვისაც ბავშვს უნდა დანიშვნოდა კანონიერი წარმომადგენელი მეურვეობისა მზრუნველობის ორგანოს სახით<sup>155</sup>.

საკასაციო პალატის მითითებით, აუცილებელი იყო დადგენილიყო, კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა თუ არა გამსესხებელი მიკროკრედიტის გაცემისას, იყო თუ არა კრედიტუნარიანი მსესხებელიდა არსებობდა თუარა სესხის გაცემის წინაპირობები.<sup>156</sup> შესაბამისად, დაადგინა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მსესხებელს სესხის მიღების დროს არგააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავლები (ხელფასის ან სხვა შემოსავლების სახით), მაშინ, ცხადია, რომ გამსესხებელი მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად რჩებოდა და, შესაბამისად, მის მოქმედებას ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა.<sup>157</sup>

ამასთან, ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა: სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს როგორც კანონი, ასევე მორალური ქცევის სტანდარტი, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება.<sup>158</sup>

<sup>155</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისი გადაწყვეტილება №ას-1221-1146-2015.

<sup>156</sup> იქვე.

<sup>157</sup> იქვე.

<sup>158</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება №ას-15-15-2016.

აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან ურთიერთობებში, რომელშიც ბავშვის ინტერესი იკვეთება, კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მცდელობას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ბავშვის საკუთრებას და მის საცხოვრებელ ადგილს. სასამართლო, მართალია, გასცდა საკუთარ უფლებასილებას და, შეიძლება ითქვას, მოირგო კანონმდებლის როლი, თუმცა მიზანი იმდენად აღმატებულია, რომ საშუალებაზე მსჯელობაც კი აღარ არის არსებითი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ უნდა შეძლოს და დარჩეს სამართლებრივ ფარგლებში და მისი გადაწყვეტილება არ ააგოს მხოლოდ მორალურ საწყისებზე. თუმცა იმ შემთხვევაში შესაძლებელი იყო სხვა გამოსავლის პოვნა, აქ კი უკეთესი მიგნება, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა. ბავშვის ინტერესზე თუ არ ზრუნავს მშობელი სათანადოდ, უნდა იზრუნოს სახელმწიფომ და არ აქვს მნიშვნელობა, ხელისუფლების რომელი შტო იქნება ეს.

#### 4. ანალიზი

ამჟამად და უპირობოა, რომ მოსამართლეებს რომ აქვთ მნიშვნელოვანი დისკრეცია საოჯახო სამართლის საქმეებში<sup>159</sup>. მრავალსაუკუნოვან მცდელობას, რომ კანონები ყველასათვის გასაგები ენით დაწერილიყო, საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია; თანამედროვე ცხოვრებისეული ურთიერთობები იმდენად რთულია, რომ მათი მოწესრიგება შეუძლებელია<sup>160</sup>. სწორედ ამიტომ უწევთ მოსამართლეებს დისკრეციის გამოყენება და ნორმათა განმარტება. ნორმის ფართო განმარტება ხელს კი არ უწყობს ნორმის მოთხოვნებისაგან გადახვევას, არამედ პირიქით, ნორმის სწორად შეფასების საშუალებას წარმოადგენს<sup>161</sup>. თავის მხრივ, განმარტების სხვადასხვა ხერხის გამოყენების საჭიროება მეტყველებს საკანონმდებლო ტექნიკისა და ნორმის გამოხატულების ფორმის ერთგვარ არასრულყოფილებაზე.<sup>162</sup>

<sup>159</sup>Standley K., Davies P., Family Law, Eighth edition, New York, 2013, 18.

<sup>160</sup>ჭანტურიალ., სამოქალაქო სამართლის ზოგადინაწილი, თბილისი, 2011, 65.

<sup>161</sup>ინწკირველი, სახელმწიფოსადასამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2003, 175.

<sup>162</sup> იქვე.

როგორც მოხმობილი გადაწყვეტილებებიდან ჩანს, საქართველოში მოსამართლეები თამამად დგამენ გაბედულ ნაბიჯებს კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით. არ ერიდებიან არც ფართო მიხედულების გამოყენებას და, შესაბამის შემხვევაში, არც ნორმისთვის მისი შინაარსის საწინააღმდეგო აზრის მიცემას.

მოსამართლეთა მხრიდან თვითნებობის შიში ვერ გახდება საპირწონე მიხედულების შეზღუდვისა. მართალია, კანონის ხარვეზი მოსამართლეს, ფაქტობრივად, ახალი ნორმის შექმნისკენ უბიძგებს, მაგრამეს ნორმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ საფუძვლებს და მოცემული კანონის სულისკვეთებას<sup>163</sup>. შესაბამისად, არაკანონიერი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება.

შედარებით პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მოსამართლეზე მორალური ფაქტორების გავლენა. მან აუცილებლად უნდა შეძლოს და გადაწყვეტილება დააფუძნოს სამართლებრივ საფუძვლებს, და თუნდაც მასზე ასეთი გავლენა იყოს, გადაწყვეტილებაში არ უნდა ასახოს ის. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში უფრო ფართოა და ძლიერია მოსამართლი მიხედულების გავლენა პრაქტიკაზე, ვიდრე პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში. რადგან მათ გაცილებით უჭირთ დადგენილი პრაქტიკის შეცვლა<sup>164</sup> და თან საქართველო ჯერ კიდევ სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბების პროცესშია, რის გამოც არ უნდა იყოს გასაკვირი *contra legem* განმარტების გამოყენების მცდელობები.

## V. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განმარტება *contra legem* ნამდვილად წარმოადგენს საკმაოდ დიდ თავსატეხს მოსამართლეებისათვის.

<sup>163</sup> კოხრეიძე, ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ დავების განხილვისას, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2 (41), 2014, 12.

<sup>164</sup> გოგიაშვილი, როგორავითარებენ მოსამართლეების მართალს, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი - 8, #1-2, 2005, 80.

აღნიშნული განმარტება არის ერთ-ერთი ბერკეტი მოსამართლის ხელში, რომ პასუხი გასცეს საზოგადოების მოთხოვნილებებს დასოციალურ სინამდვილეს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებებს საოჯახო სამართლის საქმეებში აქვს უწყვეტი გავლენა, დადებითი ან უარყოფითი. სხვა სახის დავებისგან განსხვავებით, ურთიერთობა არ სრულდება მხარეებს შორის მაშინ, როდესაც სამართალწარმოება სრულდება, ჩვეულებრივ ეს გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. სწორედ ამიტომ, ამ საქმეების რთული და კომპლექსური ხასიათის გამო, საოჯახო სასამართლოს მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ დამატებითი ცოდნა, უნარები და თვისებები, რაც არ მოეთხოვებათ მათ კოლეგებს, რომლებიც სხვა სახის დავებს განიხილავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საოჯახო და მემკვიდრეობითსამართლებრივი სახის დავებში დიდ როლს თამაშობს - ინტუიცია, ბევრი საოჯახო სამართლის მოსამართლე ინტუიციურად ხვდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მკაფიოდ შეიძლება არც იყოს გამოხატული. ერთი საკითხია მშრალად, მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებას წაკითხვა და, მეორე, კი ცოცხალ პროცესზე მოწმეთა ჩვენებებისა და მხარეების მოსმენა.

მოსამართლისათვის ფართო მიხედულების მინიჭებას აქვს არაერთი კერძო თუ საჯარო სახის საფუძველი. იგი, იაზრებს რა საკუთარ დანიშნულებას და მნიშვნელობას საოჯახო და მემკვიდრეობითსამართლებრივ დავებში, ცდილობს, ყოველთვის მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც იქნება ოჯახის წევრთა საუკეთესო ინტერესების გამტარებელი. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასამართლო დავებს, სადაც ბავშვის ინტერესი იკვეთება. ცდილობს, საზოგადოებაში დაამკვიდროს კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტი და ხშირად თვითინიცატივებსაც კი არ ერიდება, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. სასამართლოს უნდა ჰქონდეს სრული მხარდაჭერა ამ კუთხით, როგორც ხელისუფლების სხვა შტოებისგან, ისე სამოქალაქო თუ იურიდიული საზოგადოებისგან.

როგორც კვლევის პროცესში, პრაქტიკის ანალიზით გამოიკვეთა, გარდა ნორმის დისპოზიციურობის, ინკვიზიციის თუ ფართო მიხედულებისა,

მოსამართლეს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების კიდეც ერთი ბერკეტი აქვს, რომელსაც მტკიცების ტვირთის განაწილება ჰქვია. მტკიცების ტვირთის განაწილების სხვადასხვა მეთოდები მოსამართლეს ეხმარება, გადაწყვეტილებაში დაეყრდნოს ისეთ ფაქტებს, რომელიც მოქმედებს მათ შინაგან მრწამსზე, თუმცა სხვა შემთხვევაში ობიექტურად ვერ გამოიყენებდა.

სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ სამსჯელო საკითხად მიიჩნევა მოსამართლისთვის დისკრეციის მინიჭება და კანონის განმარტების მნიშვნელობა, რადგან ადამიანები დიდი ხანია აღარ განისჯებიან თვალახვეული თემიდას სამართლით, რადგან კანონი არ არის აზრისგან, მნიშვნელობისგან, სოციალური გარემოებებისგან დაცლილი სიტყვების კომბინაცია. ყოველი მცდელობა, მოსამართლეები დაამსგავსონ უგრძნობ, უსულო არსებებს სრულდებოდა კრახით და მომავალშიც ასევე გაგრძელდება. კოდექსები მალე შეიძლება მოძველდნენ, ჩამორჩნენ დროს და უვარგისი აღმოჩნდნენ, თუკი მათ ხელს არ შეუწყობს ცოცხალი სამოსამართლო მოღვაწეობა. მკვდარ ნორმებს სული უნდა შთაბეროს მოსამართლემ, რომელსაც ყველაზე მეტად უხდება ამ უსულო ნორმების მისადაგება ცოცხალი ცხოვრებისეული მოვლენებისადმი.

თუმცა, მიუხედავად ზემოთთქმულისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ განმარტება *contra legem* გარკვეულ პირობებში წარმოადგენს საფრთხეს. კერძოდ, სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ განმარტებას მიმართავს მოსამართლე მაშინ, როდესაც საქმე აქვს მეტად ამორალურ გარემოებებთან, ბავშვთა საუკეთესო ინტერესთან, ან გაუგონარ უსამართლობასთან, რომლის რეაგირების გარეშე დატოვება უბრალოდ შეუძლებელია. სწორედ მსგავს საქმეებში მოსამართლე წინ წამოსწევს მორალურ ღირებულებებს, რაც არც თუ იშვიათად, უარყოფითი შედეგით სრულდება. საშიშია მოსამართლე, რომელიც სხვადასხვა გავლენების ქვეშაა და არ შეუძლია დარჩეს თუნდაც უბრალოდ - სამართლის ფარგლებში, რომ არაფერი ითქვას კონკრეტული ნორმის ფარგლებზე. რადგან მორალური არგუმენტები ძირითადად ეყრდნობიან პრინციპებს, რომელთა გამოყენების სპექტრი დაუზუსტებელი და სადავოა, ხოლო იურიდიული არგუმენტები



იყენებენ სპეციფიკურ წესებს, რომლის ფარგლები შემოსაზღვრულია.

საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ გრძნობებს და ემოციებს აყოლილი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლად უარყოფით გავლენას მოახდენს სასამართლო პრაქტიკაზე, ასევე თანმიმდევრულ პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და სამართლის განსაზღვრულობის პრინციპზე, რომელიც საერთაშორისოდაა აღიარებული.

სასამართლომ უცილებლად უნდა შეძლოს, დარჩეს სამართლებრივ ფარგლებში და მისი გადაწყვეტილება არ ააგოს მორალურ საწყისებზე. სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს სამართლებრივ არგუმენტებს და როგორი ამორალური შემთხვევის წინაშეც არ უნდა იდგეს, არ ააგოს გადაწყვეტილება მორალურ არგუმენტებზე. რაც შეეხება ნორმის განმარტებას *contra legem*, მას უნდა მიმართოს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც კანონი სხვა გამოსავალს არ უტოვებს, თუმცა, ეს უნდა იყოს არა სუბიექტური, არამედ ობიექტური განსჯის შედეგი.

# ბიბლიოგრაფია

## სამეცნიერო ლიტერატურა

1. აფონასინინი ევგენი, დიდიკინი ანტონ, სამართლის ფილოსოფია, თამთა სეხნიაშვილის, თამარა ზარქუას, თამარ მამულაშვილის, ლინდა გიორგაძისა და ლიანა გიორგაძის თარგმანი, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017
2. ბარაქი აარონ, ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია, პაატა ჯავახიშვილის თარგმანი, ჟურნალი სამართლის მეთოდები, #1, 2017
3. გეგენავა დიმიტრი, კამიუ „უცხო“, სამართალი და მორალი გემოვნებით, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018
4. გეგენავა დიმიტრი, ჯავახიშვილი პაატა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, ლადო ჭანტურია 55, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, 2018
5. გეგენავა დიმიტრი, ძალაუფლების გამიჯვნის ქართული მოდელის პრობლემა, ჟურნ. სახელმწიფო მმართველობის მოდელები: საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016
6. გოგიაშვილი გიორგი, როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, სტატია ჟურნალში „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი -8, #1-2, 2005
7. დვორკინი რონალდ, სამართლის ფილოსოფია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010
8. ინწკირველი გივი, სახელმწიფოსა და სამართალი ზოგადი თეორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

9. კობრეიძე ლალი, „ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას“, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, #2 (41) , 2014
10. ნებიერიძე მარიამ, გაბელაშვილი ნინო, სამოსამართლო თვითობა - სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტი ?, სამეცნიერო ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2018
11. რადბრუხი გუსტავ, კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი, #2, 2012, 320.
12. უექსი რეიმონდ, სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მერაბ ბაბუხადას თარგმანი, იოსებ ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012
13. ფარცვანია მაკა, CONTRA LEGEM ინტერპრეტაცია: ერთი საინტერესო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრაქტიკიდან, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N3, 2019
14. ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2015
15. შენგელია რომან, შენგელია ეკატერინე, საოჯახოსამართალი: (თეორია და პრაქტიკა), თბილისი, 2011
16. ხრუსტალი ვალერი, ლილუაშვილი თენგიზ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე გადამუშავებული შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2007
17. ჭანტურიალადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადინაწილი, თბილისი, 2011
18. ხუბუა გიორგი, „განმარტება contra legem“ , სტატია ჟურნალში სამართლის მეთოდები, #2, 2018
19. ხუბუა გიორგი, სამართლის თეორია, თბილისი, 2015
20. Burton F., Family Law, London, 2003
21. Conway Helen, Family Law (key cases), London, 2012

22. Kaminski M., Internal and External Limits of the Principle of Consistent Interpretation of Domestic Law with the Directives of the European Union and Their Relevance for the Adjudication of the Administrative Courts, Białostockie Studia Prawnicze, 2018
23. Harris-Short S., Miles J., Family Law, text, cases and materials, New York, 2011
24. Haket S., Coherence in the Application of the Duty of Consistent Interpretation in EU Law , in: Review of Administrative Law, Paris Legal Publishers, 2015
25. Hamilton V., Principles of U.S family law, College of William & Mary Law School, Faculty Publications, 2006
26. Herring J., Family Law, University of oxford, 2015
27. Standley K., Davies P., Family Law, Eighth edition, New York, 2013
28. Waldron J., Judges as a Moral Reasoners, in: International Journal of Constitutional Law, Oxford Academic, 2009
29. Houlgate D. Laurence, Philosophy, Law and the Family, California, 2017, 50.
30. Krey V., Zur Problematik richterlicher Rechtsfortbildung contra legem, in: JuristenZeitung Nr. 11\12, 1978
31. Fellmeth A., Horwitz M., Guide to Latin in International Law, Oxford University Press, 2009

## სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“

## სასამართლოპრაქტიკა

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №ას-578-2019 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 დეკემბრის განჩინება №ას-559-2019.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1101-1021-2017.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №ას-733-733-2018.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება №ას-33-29-2017
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება №ას-454-426-2017.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №ას-178-167-2017.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ას-85-81-2017.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება №ას-15-15-2016
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისი გადაწყვეტილება №ას-1221-1146-2015.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება №ას-53-51-2016.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება №ას-187-174-2015.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება №ას-41-40-2010.

13. Monory v. Romania and Hungary, [ECtHR], App. No. 71099, § 70, 05 April 2015.

14. Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey, [ECtHR], App. No. 13279/05, § 59, 21 October, 2011.

## ელექტრონული წყაროები

1. <<https://bit.ly/3lxXGiO>> [06.08.2020]
2. <<https://bit.ly/2QCByW3>> [15.08.2020]
3. <<https://bit.ly/2Gerukj>> [06.08.2020]
4. <<https://bit.ly/3baY14U>> [15.06.2020]
5. <<https://bit.ly/2YK0M9F>> [07.07.2020]
6. <<https://bit.ly/3bfFGVM>> [15.06.2020]
7. <<https://bit.ly/2ExIqSw>> [07.08.2020]